საქართველო

ყოველდღიური გაზეთი   შაბათი, 9 მარიამობისთვე 1919 წ. № 169   ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73.

ყურადღება!.. მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის ყურადღება!..

დაწმენდილი არაყი, კონიაკი და კახური ღვინო

ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით" და „ბოჭკობით" ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი ვაგზლის ქ., 6. ტელეფ. 25—86

25—86—16

გულდამწვარი და უბედური მამა ივანე ომანის ძე კახეთელიძე და მამიდაშვილები სიმონ და პავლე მეუღლით აგრაფინა კერესელიძეები ღრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ კვირას, მარიამობისთვის 10-ს გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ძვირფასის და დაუვიწყარის

ოლა ივანეს ასულის კახეთელიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილ. 10 საათზე. ხოლო პანაშვიდი 12 საათზე. 1—2575—1

გულმოკლული მეუღლე—მარიამ გრიგოლის ასული სიმონიშვილისა შვილებითურთ—იოსებით, ბარბარეთი, რომანით, ქეთევანით, შალვათი, ქსენიათი, ვახტანგით, გიორგით და რძლით—ქეთევანეთი უდიდესი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 10 აგვისტოს სიონის საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის გარდაცვალებულის თბილისის სიონის ტაძრის კანდელაკის—დეკანოზის

ალექსანდრე იოსების ძე სიმონიშვილის

სულის მოსახსენებლად. 1—2577—1

ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მშობლები: სვიმონ ილიას ძე მაჩაბელი მეუღლით—ანასტასია ალექსანდრეს ასული და მეუღლე გარდაცვალებულისა მარიამ გრიგოლის ასული მაჩაბლისა რომ შაბათს, 9 მარიამობისთვეს წმინდა ნინოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარ პირველის და მეორის შვილის და მესამის მეუღლის

ალექსანდრე (ტუკა) სვიმონის ძე მაჩაბლის

სულის მოსახსენებლად. 1—2576—1

გამოვიდა და იყიდება

ალ. ასათიანის წიგნი

მიწის საკითხი საქართველოში.

1) მიწად-მფლობელობის ფორმები. 2) მიწად-მფლობელობა საზოგადო და კერძო საკუთრებითი. 3) სახელმწიფოს სააგრარო პოლიტიკა. 4) მიწად-მფლობელობის მასალები. სახაზინო, საუფლისწულო და ხიზნების მფლ. 5) კერძო მიწად-მფლობელობა. 6) კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი. 7) მეურნეობის პირობები. 8) სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა. 9) მეურნეობის დიფერენციაცია. 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11) რევოლიუციური სააგრარო პოლიტიკა. 12) ბოლოსიტყვაობა. 10—6—9

საქართველოს რესპუბლიკის

სამხედრო სასწავლებელი აცხადებს:

პირველ სექტემბრიდან თბილისში იხსნება სამხედრო სასწავლებელი განყოფილებით: ქვეითა ჯარისა, საარტილერიო, ცხენოსან ჯარისა და საინჟინერო. სასწავლებელში მიღებულ იქმნებიან ახალგაზრდანი წლოვანებით 17—25 წლ.

მსურველთ თხოვნა სამხედრო სასწავლებლის უფროსის სახელობაზე უნდა შემოიტანონ და დაურთონ შემდეგი დოკუმენტები: 1) მოწმობა ჯარისკაცთა გამწვევ უბანზე მიწერის შესახებ, 2) ატესტატი საშუალო სასწავლებლის სწავლის გათავებისა, 3) მოწმობა იმის შესახებ, რომ არ ყოფილა მიცემული სამართალში, 4) მეტრიკული მოწმობა და 5) ერთი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.

სწავლა ქართულ ენაზე იქნება—ქართული ენის ცოდნა აუცილებელია.

ბორჯომში კვირას, 10 მარიამობისთვე, საქართველოს წითელ ჯვართან არსებულ ქალთა კომიტეტი მართავს

დიდ სეირნობას

საქართველოს წითელ ჯვრის ლტოლვილ ბავშვთა თავშესაფარის და ბორჯომის მინერალურ წყლების ბალნეოლოგიური განყოფილების სასარგებლოდ.

ნაშუადღევის 2 საათიდან ბაღში დაუკრავს მუსიკა, იქნება ცეკვა, ბავშვების თამაშობა, კიოსკები, ლატარია-ალეგრი.

საღამოს 8 საათზე ქართულ სიმღერათა საღამო კომპ. დ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით, მოხსენება, რომანსები, სიმღერები, ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე" ნაწყვეტები.

ღამის 10 საათზე კაბარე, მუსიკალური გრიმასები, მონაწილეობენ: ბ-ნი ნ. ნ. ევრეინოვი, ინაშვილი, ვარტმანი; ელეცკი, ქ-ნი კორანა, ქ-ნი ტრუშჩოვა სანდრო კორინა და სხვები.

ამერიკული აუქციონი—ინგლისური უნაგირი

ამ დღისთვის შაბათ საღამოს თბილისიდან გავა ბორჯომში საგანგებოდ მოწყობილი მატარებელი, რომელიც შემდეგ უკანვე დაბრუნდება.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ ტელეფ. 7—57.

2—2571—1 პასუხისმგებელი დიასახლისი ქ-ნ ა. პ. ზანდუკელისა.

საყოველთაო საყურადღებოდ.

დამფუძნებელმა კრებამ მიმდინარე წლის 18 მკათათვეს მიიღო დეკრეტი, რომლის ძალითაც სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საკრედიტო დაწესებულებანი და აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნები და საერთოდ დამქირავებელნი ვალდებულნი არიან ამ კანონის გამოქვეყნების დღიდან თავიანთ მოსამსახურეებს ჯამაგირის პირველ დარიგებისთანავე ერთბაშად დაუჭირონ ქალაქის თვითმართველობის სასარგებლოდ ერთდროული სანიტარული გადასახადი. ამიტომ ყველა ზემოაღნიშნული დაწესებულებანი მოვალენი არიან მიმდინარე აგვისტოს ხვედრი ჯამაგირიდან თავიანთ მოსამსახურეთ დაუჭირონ ქალაქის სასარგებლოთ გადასახადი და წარმოადგინონ ქალაქის კასაში.

საჭირო ბლანკების მიღება შეიძლება:

1. ქალაქის გამგეობაში (გადასახადთა ბიუროში).
2. ყველა კომისარიატებში.
3. ხარჯთ ამკრეფ ბიუროს აგენტების კანტორებში, რომელნიც იმყოფებიან:

1 უბნისა. ჯერის დაღმართზე, მოედანზე, (სადაც ხორცის დუქნები იყო).
2—3 უბნის. ბაზრისა და გრაფის ქუჩების კუთხეში № 2
4—5 უბნის. თათრის მოედანზედ (სასწორის თავზე).
6—7 უბნის. კახეთის მოედანზე, ნუცუფაროვის ბაზარში
8—9 უბნის. ელისაბედის ქ. № 10,
10—12 უბნის. ჩერქეზიშვილის ქ. № 87.
11 უბნის ხუდადოვის ქ. 75, ჩარკვიანის სახლ. 3—154—2

სამხედრო სამინისტროს სტამბა

იწვევს

სამსახურში ფაქტორის თანამდებობაზე

სტამბის ხელობის კარგად მცოდნე პირს. ასოთ-აწყობის ცოდნა სავალდებულოა; სამსახური სახელმწიფოა; თვიური ჯამაგირი 1800 მან. ჯარის-კაცის ულუფა და უფასო ორი ოთახის ბინით.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3. 7—13—4

მოუწოდებ საბავშვო ბაღში ჩემთან ერთად სამუშაოდ ფრებელის კურს დამთავრებულ ქართველ ქალს ან და პირველ დაწყებით სკოლის გამოცდილ მასწავლებელს. სადგომი და სკოლის მოწყობილობა ახალ სისტემით—უკვე არსებობს.

პირობების შეტყობა შეიძლება მისამართით: მამადავითის ქუჩა № 15, ტელეფონით: № 14—04. 3—152—2

წისქვილი

ძმ. ზაზაჯანოვებისა

ღებულობს ყოველნაირ საფქვავს

ავლაბარში, ნუხის ქუჩა № 13. 10—2521—5

უღელტეხილების დასაცავად

ამიერ-კავკასიაში კვლავ დადგა შეხლა-შემოხლის ხანა. სომეხ-თათართა შეტაკება ჰაერს ძალზედ აელექტროებს; მეამბოხე თუ თავდამსხმელი ელემენტები მას მოძრაობაში მოჰყავს. საჭიროა ამ გარემოებას სათანადო ანგარიში გაეწიოს და ყოველგვარ სიურპრიზებისთვის წინდაწინ მოვემზადოთ. ასეთ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოში შემოსასვლელ კარების დაცვა-გამაგრებას და საქართველოს იმ ნაწილებს, სადაც ჩვენი სახელმწიფოებრიობის იდეურად შეურიგებელი და ამ ნიადაგზე არა ერთხელ აჯანყებული ელემენტი მოსახლეობს. ფაქტიურად გამუდმებულ ომიანობაში ვართ და ამიტომაც ცხოვრების წესი და მთავრობის სამოქმედო ღონისძიებაც ამ მდგომარეობასთან შეფარდებული უნდა იყოს. ჩრდილო კავკასიიდან გადმოსასვლელი გზები და მასთან მოსაზღვრე საქართველოს ადგილები გაძლიერებული რაზმებით უნდა იყოს დაცული, რომ მრავალ რიცხოვან მტრის ძალის შემოტევამ ერთბაშად განსაცდელში არ ჩაგვაგდოს. ამ დღეებში მამისონის უღელტეხილზე გვქონდა მცირე შეტაკება დენიკინის ავანგარდთან ეტყობა, რომ აქ სამხედრო ოპერაციების გაშლა თავდამსხმელთა მიზანს არ შეადგენდა, თორემ ადვილად შეიძლოთ ესარგებლათ თავდამსხმელის ყველა უპირატესობით, რიცხვის სიდიდით და წინასწარის მომზადებით და ჩვენთვის მდგომარეობა გაერთულებინათ. ამ უღელტეხილზე ჩვენ ათიოდე დარაჯი-ღა გვყავდა, და მეტი არა; ამათ ასი კაცისაგან შემდგარ მტრის რაზმთან მოუხდათ შეტაკება და თვალის გასწორება პირველსავე დღეს, 24 ივლისს. ამაზედ ნაკლები პროპორციით ებრძოდა ჩვენი რაზმი ამავე ადგილას 26 ივლისს: 25 ჩვენი ჯარის კაცი მტრის 400—500 კაცს უმკლავდებოდა. უნდა ვუმადლოდეთ ამ ერთი მუჭა რაზმის პირადს მამაცობას და თავდადებას, რომ თავდასხმამ სახიფათო ხასიათი ვერ მიიღო. ეს პატარა რაზმი იმდენს გახდა, რომ მრავალ რიცხოვან მოპირდაპირეს გზა შეუკრა და საგრძნობი ზარალიც მიაყენა, ხოლო ამასობაში ჩვენმა მაშველმა ძალებმაც შეტაკების ადგილას მიატანეს და მდგომარეობა გამოსწორდა. დღევანდელ პირობებში უღელტეხილებზე უფრო დიდი რაზმები უნდა იდგეს და მეტი სიფრთხილეც საჭიროა, რომ დროზედ ვიცოდეთ, თუ რა მოძრაობაა მტრის ბანაკში და მომზადებულიც ვიყოთ პასუხის გასაცემად. მთავრობამ ძალიან ნაჩქარევად გამოიყვანა ჯარი, მეორე საშიში რაიონიდან, ცხინვალიდან, სადაც ოსობას მეტად მოუსვენრად უჭირავს თავი. ამ თვე ნახევრის წინად ამ მხარეში ოსობას დაეტყო აშკარა მღელვარება და მზადება აჯანყებისთვის. მთავრობამ დაასწრო და სწრაფად ჯარი გაგზავნა, რამაც აჯანყების მადა და ხალისი დაუკარგა მეამბოხეთ. დღეს მთავრობამ ეს კუთხე კვლავ გააშიშვლა, ხოლო ადგილობრივ ოსობაში ძალიან ცოცხლად სწარმოებს საამბოხო ორგანიზაციული მუშაობა. ჩრდილოეთიდანაც დენიკინის მომხრე ოსობა და რუსობა ცხინვალის ოსობასთან ხელს უმართავს, და ასე რომ მოსალოდნელია თვით ამათი შეერთებული შეიარაღებული მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ. ამგვარ შესაძლოების წინაშე ვდგევართ ცხინვალის რაიონში, ეს ყველასათვის ცხადი და ნათელია და ამავე დროს აქედან ჯარები გაგვყავს სრულიად დამშვიდებულის სინიდისით. მეტი სიფრთხილე და გამჭრიახობა გვმართებს, თორემ როდისმე გამოუსწორებელ ხიფათს გადავეყრებით. მთავრობამ ამ გარემოებას უნდა ყურადღება მიაქციოს და მიიღოს საჭირო წინასწარი ზომები, კვლავ სამხედრო ძალის გაგზავნით.

* * *

სომხური პრესა.

ამიერ კავკასიის კონფერენცია.

ამ სათაურით „ნორ აშხატავორის" მე-159 ნომერში დაუბეჭდია მეთაური, რომელში, სხვათა შორის, შემდეგი სწერია:

„საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს მიუმართავს სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობისათვის წინადადებით. რათა ახლად მოიწვიოს ამიერ კავკასიის კონფერენცია, რომელზედაც უნდა გადაიჭრას ყველა სადავო საკითხები, რომლებიც კი უთანხმოებას იწვევენ ამიერ კავკასიაში.

„ჩვენ მუდამ მომხრენი ვიყავით სადავო საკითხების შეთანხმებით გადაჭრისა და ამიტომ ვეგებებით ახალ კონფერენციის მოწვევას. ოსმალური საფრთხე ისე აშკარაა და სახიფათო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისთვის, რომ მისი ყველა ძალების მოკრება საშიშარი ხდება.

კონფერენციის განახლებისას საჭირო წინათვე ისეთი პირობების შექმნა, რომ მუშაობა შეძლების-დაგვარად ნაყოფიერი გახდეს.

არის ბევრი საკითხი რომელმაც სასწრაფო კავშირი აქვს მხოლოდ აზერბაიჯანსა და სომხეთთან, არიან ისეთი საკითხებიც, რომელნიც მარტო საქართველოსა და და სომხეთს ეხებიან. ამ საკითხების დაწვრილებით გარჩევა კონფერენციაში მიიღებს ან აკადემიურ ხასიათს, ან „ლეტას" მიეცემა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უფრო მიზანს შეფერებული იქნებოდა, თუ კონფერენციის ოფიციალურ გახსნის წინ დაინტერესებული მხარეები შეთანხმებოდნენ სადავო საკითხებში. შემდეგ უფრო ადვილი იქნებოდა იმ საკითხების გადაჭრა.

ჩვენ არ ვიცით, რა პასუხს გასცემს აზერბაიჯანის მთავრობა საქართველოს წინადადებას მაგრამ დარწმუნებული კი ვართ, რომ სომხეთის მთავრობა ამ წინადადების თანახმად გახდება. უკეთუ ამა თუ იმ საბაბით არ მოხერხდება კონფერენცია, ქართველ და სომეხ დემოკრატიათა ინტერესები მოითხოვენ, რათა ამ ორი ქვეყნის წარმომადგენელნი შეხვდნენ ერთმანეთს და ისე გადასჭრან სადავო საკითხები. ჩვენი თვალსაზრისით ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ „ერთობა" და მისი თანამოაზრენი უარყოფენ იმ საკითხს, თუ საკითხის გადაჭრა ცალმხრივათ შეიძლებოდეს, სადავო უდავოთ გადაქციეთ და ან ოლიმპიურ სიმაღლიდან ალთქმები მიეცემოდეს სომხეთს, თუ იგი „მოვალეა მონაწილეობის მიღებისა ქართველ-თათრულ სამხედრო ხელშეკრულებაში", „მოვალეა" შეეთანხმოს და სხ. „ერთობელები" მოვალე არიან წინათვე ბოლო მოუღონ უმეზავსო კილოთი ლაპარაკს, მოვალენი არიან ბოლო მოუღონ სომხების წინააღმდეგ ინსინუაციებს და გააგონონ მის მიმდევარი მასსებს, რომ სომხეთის და საქართველოს დაახლოვება გამომდინარეობს ორი ერის ინტერესებიდან, ხოლო ამ ტაქტიკით შეიძლება ნაყოფიერი გახდეს მომავალი კონფერენციის მუშაობაც".

* * *

პატარა ექსკურსია სინამდვილეში

საქართველო დღეს მწვავედ განიცდის ეკონომიურ-ფინანსიურ კრიზისს. ამაზე არის მითქმა-მოთქმა; ამაზე მოსთქვამს პრესა. ვეძებთ გამოსავალ გზას; ვიცქირებით ევროპისაკენ; ველით მხსნელს.

ჩვენში ეხლა ყველაფერს ომსა და რევოლიუციას აბრალებენ. ეს მხოლოდ ნაწილობრივი სიმართლეა.

ყოველივე კრიზისის მიზეზი თავდაპირველად შიგნით, თვით ჩვენში, ჩვენს მოქმედებაში, ჩვენს აზროვნებაში უნდა ვეძიოთ.

ნუ დავივიწყებთ, რომ დასაწყისი ყოველგვარი კრიზისისა არის კრიზისი შემოქმედებითი—დადებითი მუშაობისა. სახელმწიფო, რომელსაც შემოქმედებითი მუშაობა აკლია, ბუდეა ყოველგვარი კრიზისისა, რომლის გადატანას ვერ შესძლებს ვერავითარი გარეშე ძალი. სახელმწიფოს, რომელსაც თავისი ძალების, თავისი სასიცოცხლო ენერგიის გამოყენება არ შეუძლია, არ შეუძლია დამოუკიდებლად ცხოვრება.

მხოლოდ მას აქვს უფლება ატაროს სახელმწიფო კაცის სახელი, ვისაც შეუძლია ამოძრაოს ერის მთელი ენერგია, მისცეს მას ერთი გარკვეული ხაზი, ჩააყენოს თავის კალაპოტში, მიუჩინოს ყველას თავ-თავისი შესაფერი ადგილი და გაუძღვეს მას წინ ერთი მიზნისაკენ, რომელსაც სამშობლოს ბედნიერება ეწოდება.

ეს არის უდიდესი ნიჭი. ეს არის ღერძი, რომლის გარშემო უნდა ტრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

მდგომარეობა ჰუნგრეთში თან და თან უკეთესდება.

საფრანგეთის მთავრობამ რუმინეთს აცნობა, რომ ჰუნგრეთის წინააღმდეგ სამარი მოქმედება საჩქაროდ შესწყვიტოს.

საზავო კონფერენციაზე უმეტესობა წინააღმდეგია რომ სომხეთს რაიმე ტერიტორია დაუთმოს.

დენიკინის ჯარმა დაბა ვერხნიე-როგაჩს 3 მილიონი კონტრიბუცია დაადო.

გრიგორიევი და ტერეშჩენკო თავის ჯარით მახნოვლებმა დაჰხოცეს.

რუმინელებმა ჰუნგრელებს დროებითი ზავის პირობებში მოსთხოვეს ჯარის 15.000-ამდე შემცირება.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲜᲝ!

10, 11 და 12 აგვისტოს შესდგება დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სია არის № 2

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია ერთად ერთი არა სოციალისტური ფრაქცია დამფუძნებელს კრებაში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გარს იკრებს დემოკრატიულ, არა სოციალისტურ წრეებს.

ᲮᲛᲐ ᲛᲘᲔᲪᲘᲗ № 2

ლებდეს სახელმწიფოს ბორბალი, რომელიც უნდა შეებრძოლოს დროსა და სივრცეში ყოველ გვარ უკულმართობას, სახელმწიფო იდეის წინააღმდეგ მიმართულს.

ამ ნაირად, ერს სჭირია სახელმწიფო კაცები, აღჭურვილნი ადმინისტრატიული ნიჭით, სახელმწიფოებრივი იდეით-პატრიოტიზმით, გარკვეული სამოქმედო გეგმით, რომელიც უნდა იყოს აგებული ერის ფსიხიკაზე, მის ეკონომიკასა, კულტურა და შეგნებაზე.

ახლა შევასრულოთ პატარა ექსკურსია ჩვენს სინამდვილეში.

ახალ საქართველომ ჯერ არც კი იცის გემო თავისუფალი ეროვნული ცხოვრებისა—ცუდ პირობებში იშვა იგი. ხალხში სახელმწიფოებრივი იდეია მინიმუმამდე შესუსტებულია და ეს ადვილი ასახსნელიც არის: მისი მესვედი რაც სოციალიზმზე ველაპარაკეთ ეროვნული თავისუფლებაზე რომ გველაპარაკა, დარწმუნებული ვარ, დღეს სულ სხვა პირობები იქნებოდა. იმ პარტიამ, რომელიც დღეს სახელმწიფოს სათავეში უდგას, ხალხს ჩააგონა, რომ ავტონომია ბატონ ყმობა არის და ახლა რა გასაკვირველია, რომ ჩვენს თავისუფლებას ხალხი ცივად უნდობლად უყურებდეს.

ჩვენი ინტელიგენციის იმედი ხალხს არა აქვს. მან ჯერ ვერ გამოიჩინა შემოქმედებითი ნიჭი უკანასკნელ წლების ხშირმა არჩევნებმა, კენჭობამ, სასტიკმა საარჩევნო ბრძოლამ ინტელიგენციაზე ხალხს გული აუცრუა.

ჩვენი ხალხის ფსიხოლოგია სულ სხვაა. ჩვენი მინისტრები არჩევნების წინ საპროპაგანდოდ რომ დადიოდენ, ეს ერთის მხრით ხალხის თავმოყვარეობას ეალერსებოდა, მაგრამ მეორე მხრით თვით ის მინისტრები ხალხის თვალში დიდი კაცის სახელს ჰკარგავდენ: „როგორ მათხოვარივით ითხოვდა კენჭებსო ასე ძველად ბოქაულები არ დაიარებოდენო“. ჩვენი ხალხი ჯერ იმდენად განვითარებული როდია, რომ ყველაფერზე შესაძლებელი იყოს შეკითხვა: „მე რომ მცოდნოდა და შემძლებოდა საქმის გაკეთება, მას რისთვის ავირჩევდიო“...

როცა მიტინგებზე ხალხს ომში წასასვლელად მოუწოდებ, ლამაზი ფრაზებით აეგზნება იგი, ტაშს დაგიკრავს, მაგრამ შინ კი ბრუნდება დარწმუნებული, რომ ასეთი მეთაურები ომს ვერ აწარმოებენ, მათ ხელში ის დაღუპულია და უიმედოდ შეჰყურებს მომავალს.

შედეგი ასეთი უიმედობისა ის არის, რომ ხალხი ცხოვრობს დღიურად, ზრუნავს მარტო თავის თავზე, დღიურ ლუკმაზე, არ ფიქრობს დოვლათის დაგროვებაზე, რადგანაც არ იცის მისი ნაშრომი ხვალ და ზეგ ვინ ოხრების გასაყოფი იქნება. მისი არსება შეპყრობილია სპეკულიაციის და ძარცვა-გლეჯის ინსტინკტით.

მართალია, ჩვენმა ინტელიგენციამ ჯერ ვერ გამოიჩინა შემოქმედებითი მუშაობის ნიჭი, დღეს ის ვერ ჰქმნის ვერაფერს, პესიმიზმს შეუპყრია, მაგრამ მას თავისი გასამართლებელი საბუთიცა აქვს.

როგორ გნებავთ, რომ შემოქმედებითი მუშაობას შეუდგეს მასწავლებელი, მოსამართლე ან სხვა მოხელე, როცა ის არაა დარწმუნებული იმაში, რომ დაბრუნდება სახლში დახვდება თუ არა მჭადი და ლობიო. გირვანქა შაქარი რომ მიიღოს მთელი დღე უნდა დაჰკარგოს. მე არას ვიტყვი კულტურულ მოთხოვნილებებზე, რომელიც ინტელიგენტს აქვს და რითაც ის განირჩევა უბრალო მუშისგან, მაგრამ ინტელიგენცია უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ცხოვრების მოთხოვნილებათა მინიმუმით მაინც, თორემ ისიც, რაც უნდა აღგზნებული იყოს სამშობლოს სიყვარულით, ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდება ეძიოს სარჩო გარეშე სახელმწიფო სამსახურისა და გაჰყვეს სპეკულიაციის ტალღებს და ეს რა საშინელებასაც წარმოადგენს სამშობლოსთვის ადვილი მისახვედრია,

შეიძლება ამპუტაცია ხელისა ან ფეხის, მაგრამ ცალ ფეხა ან ცალ ხელა კაცი ვერ შეასრულებს კაცის მთელს ფუნქციებს.

ჩვენი მთავრობა, როგორც პარტიული, დაეყრდნო ერთ კლასს, მეორე კლასი, აღჭურვილი კერძო ინიციატივით, მეთაურობის ნიჭით, გართულებულია. ის განიცდის კარნახს თავის პარტიისას, რომელიც კლასიურ ინტერესებს ვერ გასცილებია. დროთა ვითარებამ და ცხოვრების მკაცრმა სინამდვილემ მას არ მისცა საშუალება სოციალისტური სახელმწიფოს აშენებისა, თავისი პროგრამის წინააღმდეგ ვითომც და ის შეუდგა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აშენებას, მაგრამ ამის ნებას სოციალისტური პსიხოლოგია არ აძლევს და გამოდის, რომ ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, ერთსა და იმავე ერში აშენებს ორნაირ სახელმწიფოს—სოციალისტურსა და ბურჟუაზიულს.

ჩვენი მთავრობის კურსს ვერავითარი კომპასით ვერ შეატყობ.

ვაჭარ-მრეწველნი არ ჰქმნიან არაფერს ახალს. ყველაფერი ცვდება, ფუჭდება და უბრალო რემონტის გაკეთებაზედაც არავინ ფიქრობს. ეშინიათ რეკვიზიცია, კონფისკაცია, მუნიციპალიზაცია-სოციალიზაციისა.

ან რა უნდა იყოს ისეთი წარმოება, რომ მუშის დღევანდელი გადაჭარბებული მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს?

დღეს არის ციებ-ცხელება სპეკულიაციისა; ყიდვა-გაყიდვა იმისა, რაც უკვე არსებობს, რაც უკვე შექმნილია.

უწინ ერის მხოლოდ ერთი მეათედი იყო სპეკულიანტი, მყვლეფელი და ამისათვის მას ასე მწვავედ არ გრძნობდა ხალხი. ახლა კი ცხრა მეათედი—ვაჭარი, გლეხი, მუშა ყველა სპეკულიაციას ეწევა. ეს ცხრა მეათედი დღეს ოთუხმას გადადის ინტელიგენციის და მოსამსახურეების ზურგზე. მთავრობის მიერ მოჭრილი ბონები უკანასკნელების საშვალებით გადადის ხალხის ხელში, რომელიც არც კი ფიქრობს მისი რაიმე სახით სახელმწიფოსთვის დაბრუნებას.

საჭიროა შემოქმედებითი-დადებითი მუშაობა ინტელიგენციისა და ხალხისა, მთელი ერისა, დაჭიმვა მთელი ერის ცოცხალი ძარღვებისა, სახელმწიფოსათვის გამოყენება ერის ყველა ელემენტისა და უმთავრესად მთავრობას რეალი პოლიტიკა.

აი მხოლოდ აქ არის ხსნა, თორემ გარედან რაც არ უნდა შემოვიტანოთ საქონელი და რამდენიც არ უნდა მოვჭრათ ბონები—ეს კრიზისებს ვერ დააცხრობს; ეს მხოლოდ პალიატივი ქნება.

განა ლორდთა პალატის წევრს ლოიდ ჯორჯს, რომელიც ესწრება მუშათა კონგრესსაც და ვაჭარ მრეწველთა კონფერენციასაც და რომელიც ყველას მოუწოდებს შემოქმედებითი მუშაობისკენ, არ აქვს უნარი და შეძლება, რომ ჩაუდგეს რომელიმე კლასს სათავეში და აწარმოვოს კლასთა ბრძოლა?

მაგრამ ის სახელმწიფო კაცია. ის არის მატარებელი სოლიდარობის და თანამშრომლობის პრინციპისა, რამაც ინგლისი ასეთი დიდი გამარჯვებამდის მიიყვანა.

დროა ავცილდეთ, ცოტა ხანს მაინც, კლასიურ ინტერესებს, თორემ ორივე კლასი, მთელი ერი დაღუპვის გზაზე სდგას.

მ. გვაძლია.

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

აღმოსავლეთში მყოფ მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალმა საფრანგეთის მისიას თბილისში შეატყობინა შემდეგი, „მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დაჰნიშნა პოლკ. ჰასკელი სომხეთის უმაღლეს კომისრად, რომელიც იმოქმედებს საფრანგეთის, ამერიკის და იტალიის სახელით.

ამავე დროს უმაღლეს კომისარს დავალებული აქვს მიიღოს ზომები პროვინციების აღსადგენად.

მოკავშირეთა წარმომადგენლები და სარდლები რომელნიც საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში არიან პოლკ. ჰასკელს უნდა დაეხმარონ.

კილიკია, რომელსაც ეხლა ფრანგი ოფიცრები მართავენ, არ შედის იმ ოლქების შემადგენლობაში, რომელნიც პოლკ. ჰასკელს დაემორჩილება. ჰასკელის დანიშვნაზე უნდა ეცნობოს ოფიციალურად გენ. დენიკინის ცნობისათვის“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

გაზ. „ანტანტი“ იუწყება, რომ აღმოსავლეთის საერთო და კერძოდ კავკასიის რესპუბლიკების საკითხი ქრისტეშობისთვის უნდა გადასწყდეს.

(ნ. კ.)

„ᲓᲘᲓᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ“

საფრანგეთის აკადემიკოსი ტენი გოშენი გაზ. „ფიგაროში“ სწერს:

„სომხები ზავის შეკვრამდი იბრძოდნენ მტერს მოკავშირეებთან ერთად. მათ გააძნელეს ოსმალების წინსვლა. ჩვენ უნდა გადავუხადოთ მით რომ შევქმნათ დიდი სომხეთი, კავკასიიდან დაწყებული ადანამდე.“ (ნ. კ.)

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ რედაქცია აცხადებს, რომ გაზეთ „კლდეში“ მოთავსებულ „ძველი ქართველი“-ს წერილებს არავითარი კავშირი არ აქვს ჩვენი გაზეთის თანამშრომლის „ძველ ქართველის“ ფსევდონიმთან.

◆ **ქართველ კათოლიკეთა მისია** არჩეულ იქმნა ქართველ კათოლიკეთა განსაკუთრებული მისია, რომელიც რომს მიემგზავრება პაპთან მოსალაპარაკებლად სომეხ და ქართველ კათოლიკეთა ურთიერთობის საკითხის გამოსარკვევად ამ მისიის საჭიროებისთვის მთავრობამ 60,000 მან. გადასდო ამავე მისიისთვის მეორე ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭომ 2,500 მან. გადასდო.

◆ **დაშნაკელების კონფერენცია.** აგვისტოს 7 თბილისში გაიხსნა საქართველოში მომქმედ დაშნაკცაკანთა პარტიის კონფერენცია.

◆ **სომეხ ინვალიდების სახლი.** სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოში რეიტერის ქუჩაზე სომეხ-ინვალიდთა თავ-შესაფარი და სამკურნალო გახსნა.

◆ **თავის დაღრჩობა.** აგვისტოს 7-ს საღამოს 9 საათზე ვორონცოვის ხიდიდან მტკვარში გადავარდა და დაიღრჩო უცნობი კაცი, რომლის ვინაობაც ვერ გამოარკვიეს. მისი გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **ცეცხლი.** აგვისტოს 7, ღამის 7 საათზე, ნიკოლოზის ქუჩაზე, საავტომობილო მწყობრის საწყობში ბენზინი აფეთქდა და დიდი ცეცხლი გაჩნდა. საჩქაროდ გაიწვიეს ცეცხლის მქრობელთა რაზმი, რომელმაც დროზე ჩააქრო ცეცხლი. ზარალი გამოურკვეველია.

◆ **ქურდობა.** აგვისტოს 7, საღამოს ვანქის ქუჩაზე მცხოვრებ წუწუნავას ბინიდან მოიპარეს 26,000 მ. ნივთები.

◆ **გამოვიდა იოსებ იმედაშვილის** ახალი გამოცემანი: 1) „შავი წიგნი“, ვახ. კოტეტიშვილისა, 2) „უნაყოფო ნუგეში“, კომ. 1 მოქ. ი. ხომერიკისა, 3) „ორი კოდია“—აირია მონასტერი, ვაი დროებას“! თითო მოქ. ვოდ., თითო წიგნი ღირს 3 მ.

◆ **„თეატრი და ცხოვრების“** მორიგი (9) ნომერი გამოვიდა. ნომერი დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შემკულია მრავალი სურათით და ღირს 5 მან.

◆ **მაზუთზედ პრემიის შემოღებამ** სახაზინო რკინის გზებზე უკვე იქონია სასურველი გავლენა მაზუთის ხარჯზედ. გზათა დეპარტამენტს აქვს გამორკვეული შემდეგი შედარებითი ციფრები ამის შესახებ: ამ წლის მაისში, პრემიის შემოღებამდე, ორთქლმავლების გარბენა იყო 475.388 ვერსი (მატარებლების წევა, რეზერვის გარბენა, მანევრები და სხვა), ხოლო ხარჯი მაზუთისა იყო 443.866 ფუთი ანუ ერთ ვერსზე 0.93 ფუთი. ივნისში პრემიის შემოღების შემდეგ, ორთქლმავლების გარბენა იყო 460.141 ვერსი, მაზუთის ხარჯი 465.076 ფუთი ანუ ერთ ვერსზე 0,85 ფუთი. შემცირება თვიურ ხარჯვისა უდრის 58.790 ფ. რაც არსებული ფასით მაზუთზე 500.000 მანეთს აღემატება.

◆ **შეწირულება.** ირაკლი ბილანიშვილმა კ. ნარსიას გვირგვინის ნაცვლად ირ. ევდოშვილის ოჯახს 500 მანეთი შესწირა.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

◆ **შიმშილობის გამოცხადება.** მეტეხის ციხეში პოლიტიკურ ტუსაღმა ნოე ლეჟავამ 3 აგვისტოს შიმშილობა გამოაცხადა, რადგან მთავრობამ ათი თვის განმავლობაში არავითარი საბუთები არ წამოუყენა, მიუხედავად იმისა რომ ერთი კვირით ადრე გაუგზავნა განცხადება.

ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ.

◆ **ქართველ მწერალთა კავშირის კრება.** დღეს, საღამოს 7 ნახევ. საათზე სადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ლორის მელიქოვის ქუჩა) დანიშნულია მწერალთა კავშირის სასწრაფო კრება.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ.

მკათათვის 29-ს შავი ქვის მადნოების მუშები გაიფიცნენ. გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზეა. იქმნა გაგზავნილი მთავრობასთან დეპეშები საკითხის მოსაწესრიგებლად და უთანხმოების მოსასპობად.

Ს. ᲙᲐᲙᲐᲑᲔᲗᲘ.

წლევანდელი პურის მოსავალი მდარეა. ვენახები უწამლობის გამო დაიცრა და ღვინის მოსავლის იმედი სულ არ არის.

ᲘᲕᲠᲘᲡ-ᲮᲔᲝᲑᲐ.

სართიჭალის უბნის კომისარმა პოლკ. ალ. ზაქრიაძემ სართიჭალა-ყარაიის საზღვარზე დანიშნა დროებითი საყარაულოები და ყარაულები: პატარძეულიდან 6 კაცი სართიჭალიდან—10. ესენი ჰყარაულობენ მინდორში მომუშავეთ, თუ მავნე ვინმე შენიშნეს, ცხენოსნები სასწრაფოდ აცნობებენ სოფლებს, რათა საერთო ძალით აიცილონ ხიფათი.

— გარე კახეთსა და შიხლო იორო მუღანლის შორის საქონლის ტაციობის მოსპობის შესახებ გარე კახეთის სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარემ იოსებ იმედაშვილმა სათანადო მთავრობას საგანგებო მოხსენება წარუდგინა.

— ივრის თემის თაოსნობით სადგურ იორთან მარიამობის 17-დან იმართება ყოველკვირეული საკვირაო ბაზრობა. ბაზარზე გამოვა სოფლისა და ქალაქის ყოველგვარი ნაწარმოები თუ საქონელი. მატარებელი ჩაივლის დილით 12 ს., ჩამოივლის 4 ს.

Ს. ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ.

საგარეჯოში მოგარაკენი მატულობენ. სანოვაგე ძვირი საშოვარია. ყოველ კვირა იმართება წარმოდგენები.

უბნის კომისარი ი. ძიძიგური ბეჯითად შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას. თავგასულ მედუქნეებს, განსაკუთრებით ყასბებს მოსთხოვა წესიერება და სხ.

იოსებ იმედაშვილმა გარე-კახეთსა და კახეთში წაიკითხა „დემოკრატიული რეჟიმი და გარდამავალი ხანა“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „ფრონტი და ზურგი“.

ᲙᲝᲪᲔᲕᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

პიატიგორსკში დაპატიმრებული კოცევი გაანთავისუფლეს.

გამოსვლის შემდეგ მან ადგილობრივ გაზეთებში ღია წერილით საყვედური განუცხადა ჯუმაგიევს, გაზ. „ბორბაში“ მოთავსებულ მის შესახებ ცნობის გამო.

თავის მხრივ კოცევი სწერს რომ ჯუმაგიევმა მილიონი მანეთი ქრთამი აიღო საბჭოთა რუსეთიდან და 753 მანეთი მთიელთა მთავრობის ფული გაიტაცა თბილისშიო“. („კავკ. კრაი“)

ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

საქართველოს ქალაქებისა და მაზრის ერობათა სასარგებლოდ ერთდროული სანიტარული გადასახადის შემოღებისა.

1. ქალაქებისა და სოფლების სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე გადამდებ სნეულებასთან საბრძოლველად, შემოღებულ იქმნეს საგანგებო ერთდროული სანიტარული გადასახადი ქალაქებში—ქალაქის თვითმმართველობათა და სოფლებში კი—მაზრის ერობათა სასარგებლოდ.

2. ეს გადასახადი უნდა დაევალოს: ა) იმ პირთ, რომელთაც შემოსავალი ჯამაგირის სახით ჰქონდათ, თუ რაოდენობა მთელი ჯამაგირისა ამა წლის ივნისში აღემატებოდა ქ. თბილისში 1000 მან., ქ. ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში 900 მ., საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებში კი - 800 მან.

ბ) ყოველ თავისუფალ პროფესიის პირს, სახელდობრ ექიმებს, ვექილებს, ხუროთმოძღვრებს, ბეითლებს, ფერშლებს და სხ.

გ) უძრავი მამულების პატრონებს, სავაჭრო-სამრეწველო და ყოველგვარ სატრაქტირო დაწესებულებას და სოფლის მესაკუთრე მეურნეებს.

3. ამ გადასახადისაგან თავისუფალნი არიან: ა) მოსამსახურე პირნი, რომელთა ჯამაგირი არ აღემატება მეორე მუხლში აღნიშნულ რაოდენობას შემოსავლისას. ბ) სხვა სახელმწიფოთა ჯარსა და მისიებში მოსამსახურე უცხოელები

4. სამსახურში მყოფნი პირნი ჯამაგირიდან გაიღებენ ამ გადასახადს ქვემოთ აღნიშნული ცხრილის მიხედვით.

I. ქალ. თბილისში ვინც იღებს:

1001 მ.	1200 მ.	1 პროც.	10 — 12მ.
1201 „	1500 „	2 „	24 — 36 „
1501 „	2000 „	3 „	45 — 60 „
2001 „	2500 „	4 „	80 — 100 „
2501 „	3000 „	5 „	125 — 150 „
3001 „	4000 „	7 „	210 — 280 „
4001 „	5000 „	10 „	400 — 500 „
5001 „	6000 „	15 „	750 — 900 „
6001 „	8000 „	20 „	1200 — 1600 „
8001 „	10000 „	25 „	2000 2500 „

10001 და მეტს 30 პროცენტი

II. ქ. ქ. ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში ვინც იღებს:

901 მ.	1000 მ.	1 პროც.	9 — 10მ.
1001 „	1200 „	2 „	20 — 24 „
1201 „	1500 „	3 „	36 — 45 „
1501 „	2000 „	4 „	60 — 80 „
2001 „	2500 „	5 „	100 — 125 „
2501 „	3000 „	7 „	175 — 210 „
3001 „	4000 „	10 „	300 — 400 „
4001 „	6000 „	15 „	600 — 900 „
6001 „	8000 „	20 „	1200 — 1600 „
8001 „	10000 „	25 „	2000 — 2500 „

10001 და მეტს 30 პროცენტებით.

III. საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებში, ვინც ღებულობს ჯამაგირს:

801 მ.	900 მ.	1 პროც.	8 — 9მ.
901 „	1000 „	2 „	18 — 20 „
1001 „	1200 „	3 „	30 — 36 „
1201 „	1500 „	4 „	48 — 60 „
1501 „	2000 „	5 „	75 — 100 „
2001 „	2500 „	7 „	140 — 175 „
2501 „	3000 „	10 „	250 — 800 „
3001 „	4000 „	15 „	450 — 600 „
6001 „	8000 „	20 „	1200 — 1600 „
8001 „	10000 „	25 „	2000 — 2500 „

10001 „ და მეტს 30 პროცენტით.

5. სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საკრედიტო, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი და აგრეთვე ფაბრიკა—ქარხნები და საერთოდ დამქირავებელნი ვალდებულნი არიან ამ კანონის გამოქვეყნების დღიდან თავიანთ მოსამსახურეებს ჯამაგირის პირველ დარიგებისთანავე აღნიშნული გადასახადი ერთბაშათ დაუჭირონ ქალაქისა და ერობის თვითმმართველობათა სასარგებლოდ. გადამხდელებს ეძლევათ დაწესებული ბარათი და შეკრებილ ფული დაუყონებლივ ეგზავნება კუთვნილებისამებრ ქალაქის ან ერობის გამგეობას გადამხდელთა ცალკე სიით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს მათი სახელი, მამის სახელი და გვარი, მისამართი და რაოდენობა გადასახადისა.

6. მეხუთე მუხლში აღნიშნული დაწესებულებანი და საზოგადოთ დამქირავებელნი ვალდებულნი არიან დახმარება აღმოუჩინონ ქალაქისა და ერობის თვითმმართველობას სრულიად უსასყიდლოთ ხსენებული თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაზე.

7. უძრავ ქონებათა პატრონებსა, სავაჭრო-სამრეწველო, სარეწავი და სატრაქტირო დაწესებულებებსა, თავისუფალი პროფესიის პირებსა და სოფლის მესაკუთრე მეურნეებზე გასაწერ სასანიტარო გადასახადის რაოდენობას განსაზღვრავს ქალაქში—ქალაქის საბჭო, მაზრაში კი—მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობა.

8. ქალაქის საბჭოს უფლება აქვს გადამხდელნი დაჰყოს ჯგუფობრივ ერთგვარობის მიხედვით.

9. მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობა მთელს ჯამს მის მიერ განსაზღვრული გადასახადისას გაანაწილებს სოფლის საზოგადოებათა ან დაბათა შორის.

10. მე-8 და მე-9 მუხლში აღნიშნული დადგენილებანი ქალაქისა და ერობის თვითმმართველობისა გადამხდელმა უდავოდ უნდა მიიღოს და ამ დადგენილებათა გასაჩივრება არ შეიძლება.

11. ქალაქის საბჭოს მიერ განსაზღვრული გადასახადი დაწესებულებათა ერთ ჯგუფზედ, განაწილებული უნდა იქნეს ამ ჯგუფის გადამხდელთა შორის თვითმმართველობის გამგეობათა მიერ, ან გადამხდელთა საზოგადოების კრების ან მათ მიერ არჩეულ კომისიის საშუალებით ორი კვირის განმავლობაში გამგეობისაგან დანიშნულ რიცხვიდან, თუ გადამხდელთა საზოგადო კრება, ან მათ მიერ ამორჩეული კომისია უარს განაცხადებს გადასახადის განაწილებაზედ, ან მათ მიერ განაწილების ნორმებს ქ. გამგეობა არ დაეთანხმება, მაშინ თვით გამგეობა გაანაწილებს გადასახადს გადამხდელებზედ თავის მოსაზრებისამებრ.

12. სოფლის საზოგადოების გადამხდელ წევრებზე აწესებს გადასახადის რაოდენობას წვრილი საერობო ერთეულების აღმასრულებელი ორგანო, ან სადაც იგი ჯერ კიდევ არ არის, თვით საზოგადოების ყრილობის მიერ ამორჩეულ კომისია. ვადას გაწერისა და აკრეფისას განსაზღვრავს სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა.

13. ეს გადასახადი ყველა გადამხდელმა, როგორც ქალაქად, აგრეთვე სოფლად განსაზღვრულ ვადაზედ ერთდროულად და მთლად უნდა შეიტანოს.

14. ქალაქებში გადასახადის განაწილების შემდეგ ერთი კვირის ვადა ეძლევათ სავაჭრო-სამრეწველოს პატრონებს და თავისუფალი პროფესიის პირთ, რათა განასაჩივრონ საბჭოში.

15. განაწილების ძალაში შესვლის შემდეგ ხარჯის გამღებთ ეგზავნებათ ქალაქებში გადასახადის ფურცლები და ვალდებულნი არიან შეწერილი ფული ფურცლის ჩაბარების დღიდან ორი კვირის განმავლობაში შეიტანონ, სოფლად კი, აკრეფის საერთო წესის გარდა, სოფლის საკრებულოებში უნდა იქნეს გამოკრული სია გადამხდელთა და თვითეულ გადამხდელზედ შეწერილ გადასახადის რაოდენობისა.

16. ვინც ვადაზე არ შეიტანს გადა-

ეროვნული

სახადს, ჯარიმად მთელი გადასახადის 50 პროც. შეეწერება.

17. ქალაქისა და ერობის თვით მართველობას უფლება აქვს ამ დეკრეტის განსამარტებლათ შესაფერი ინსტრუქციები გამოსცეს.

18 დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 18-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი.
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დედანთან სწორია თბილისის გამგეობის წევრი **შოთაძე.**

გადასახადთა ბიუროს გამგე ქალაქის გამგეობის წევრი **ხახანაშვილი.**

კოწია ემნატეს ძე ნარსიას ხსოვნას

(ნეკროლოგი)

პირველ აგვისტოს ავაზაკებმა ბათომში იმსხვერპლეს, ახალგაზრდა ენერგიით სავსე ადამიანი კოწია ნარსია.

ისედაც მცირე რიცხოვან ვაჭარმრეწველთა დარგმა კოწიათი დაჰკარგა იშვიათი მხნე და მუყაითი თანამშრომელი და დანაკლისის მნიშვნელობას ყველა მიხვდება ვინც გარემოებას ანგარიშს უწევს.

განსაკუთრებით მძიმეა მისთვის ვინც იცნობდა ახლოს. ის მუდამ აფხიზლებდა თავის მეგობრებს ამ სიტყვებით, რომ ვისაც თავისუფალი სამშობლო ჰსურს უნდა ყოველ დარგში იბრძოლოს და იმუშაოს. მხოლოდ მაშინ შეიძლება უცხო ბატონობას თავი დავაღწიოთო!..

ავაზაკებმა არ დაინდეს შენი სიცოცხლე და ჩვენთვის ესოდენ სასარგებლო და იმედის მომცემელ ახალგაზდა გამოგვტაცეს ხელიდან.

ირაკლი ბილანიშვილი.

ნეკროლოგი

(† ექიმი ალ. ჯაფარიძე).

სოფელ ცხინვალში უდროოდ გარდაიცვალა ჯან-ღონით სავსე ექიმი ალექსანდრე ჯაფარიძე. განსვენებული დაიბადა 1883 წ. დაასრულა თბილისის 1-ლი გიმნაზია 1902 წ. ხოლო სამკურნალო ფაკულტეტი 1910 წ. მეტი წილი თავის პროფესიულ მოღვაწეობისა მიანდომა სოფელს. ჯერ იყო მუხრანის სასოფლო ქსენონის გამგედ, შემდეგ 1914 წელს გაიწვიეს ჯარში ექიმად. თერგის ოლქში, ყუბანის ოლქში და ყარსში; ომის დასრულებისას ის შევიდა ცხინვალის ერობაში, განსვენებული აქაც არა ზოგავდა თავის ჯანმრთელობას სოფლის სამკურნალო დახმარებისათვის და ხალხის პატივი და სიყვარული დაიმსახურა. ასეთ დროში, როდესაც ინტელიგენცია საზოგადოდ, და ექიმები კერძოთ გაურბიან სოფელს დაუფასებელი იყო. ძვირფასო ამხანაგო პროვინციაში შენი შავი მუშაობა. უდროოთ დაობლდა როგორც შენი მოხუცებული დედ-მამა ისე ცხინვალი, რომელთაც თავ-ზარი დაეცი შენი უდროო გარდაცვალებით.

სომხეთი

(სომეხთა დეპ. სააგენტო)

მარიამობისთვის 6.

იტალია და სომხეთი.

ერევანი. მარიამობისთვის 5-ს! იტალიის მისიის უფროსის ცნობით, იტალიის მთავრობას სურს სომხეთთან დაამყაროს მეზობლური სავაჭრო კავშირი, ამ მხრით, იტალია აღუთქვამს ტეხნიკური ძალების დახმარებას. იტალიაში არსდება ამისათვის ამ ორი სახელმწიფოს დამაახლოვებელი დაწესებულებანი.

იტალია აგრეთვე კისრულობს საზავო კონფერენციაზე სომხეთის ინტერესების დაცვას.

შეტაკება ყამარლუს ოლქში.

მაჰმადიანთა ერთი ჯგუფი შარშებად გაშლილი წინ მოიწევდა ჩვენი თხრილების მარჯვენა ფრთაზე. დიდი ბრძოლის შემდეგ ჩვენებმა მტერი უკუ აგდეს.

ერევნის ბირჟა.

ბითუმად ვაჭრობის ფასები:

ხორბალი ფ. 300 მ., ქერი—220 მ., მეორე ხარისხისა—ერთი საპალნე—300 მ., პირველ ხარისხისა—400 მ., შავი პური—200 მ., თეთრი პური—320 მ., ერთი ფუთი ჩამიჩი—550 მ., ერთი პარკი—350 მ., დამდნარი ერბო—2800 მ., კარაქი—2000 მ., ძროხის ხორცი—360 მ., ცხვრის ხორცი—600 მ., ყველი—650 მ., ლობიო—450 მან.

ოსმალური ლირა—380 მ., რუსული ათ მანეთიანი—510 მ., „ნიკოლოზის" ათ თუმნიანი—350 მ., კერენსკის ათას მანეთიანი—1000 მ., ვერცხლის მანეთიანი—25 მ., ვერცხლის წვრილი ფული—10 მ., ოსმალური ქაღალდის ლირა 105 მან.

სომხეთის თხოვნა.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან მარიამობისთვის 2-ს სომხეთა წარმომადგენლებმა თხოვნით მიჰმართეს საზავო კონფერენციას, რათა ბრიტანეთის ჯარების ამიერ-კავკასიიდან გაყვანა მანამდე გადადონ, სანამ საზავო კონფერენცია სომხეთს მანდატორს არ დაუნიშნავს.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან.

სომხეთის საკითხი.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ თანახმად უკანასკნელ კანონებისა, სომხეთის საკითხი ხუთთა საბჭოში გაირჩევა. ექვსი ვილაეთის და კილიკიის საკითხი საბოლოოდ გადაჭრილია. ტრაპიზონის ოლქი სომხეთს შეუერთდება. ქ. ტრაპიზონის ბედიღბალი ჯერ ისევ გამოურკვეველია. („ნ. აზხ.).

ფრანგი კომუნისტები ოდესაში.

ამ დღეებში ოდესას მოუახლოვდა საფრანგეთის ერთი ნალმოსანი და მოითხოვა, რომ მათ გადასცენ გენ. ანსელმის ჯარიდან 259 ფრანგი ჯარის ტყვედ დარჩენილი კაცი.

ამ მოთხოვნილების ასასრულებლად ნალმოსანმა ოდესის მთავრობას 24 საათის ვადა მისცა. ბოლშევიკებს ამ მოთხოვნაზე არ უპასუხნიათ და ამისთვის ფრანგებმა ქალაქ ოჩაკოვს ნავებით ალყა შემოარტყეს. (ნ. აზხ.).

ბოლშევიზმის ბუდე.

„ჟურნალ-დე-დება" იუწყება, რომ შვეიცარია ითვლება გერმანულ ბოლშევიზმის პროპაგანდის ბუდიდ. ეს საქმე ცხადად ირკვევა შვეიცარიის ბოლშევიკურ მოღვაწეების წრეში მომხდარ დაპატიმრების შემდეგ.

აღმოსავლეთი გალიცია.

როგორც ლონდონიდან იუწყებიან, საზავო კონფერენციის კომისიამ, რომელიც პოლონეთის საკითხზე მუშაობს, პოლონეთთან ხელშეკრულების დამტკიცება დაიწყო აღმოსავლეთ-გალიციის მართვის პროექტის შედგენა.

აფრიკის დაყოფა.

ბელგიის დელეგატებმა საზავო კონფერენციას მოხსენება წარუდგინეს იმ საფუძვლების შესახებ, რომელზედაც დაეყრდნობა ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულება, რომელიც უმთავრესად აფრიკის დაყოფას ეხება. ბელგია თანახმაა გადასცეს ინგლისს თავის სამფლობელოთა ნაწილი კონგოში და ტანგანაიკის ტბის მიდამოებში. სამაგიეროდ ბელგია მიიღებს აღმოსავლეთ-აფრიკაში გერმანულ ახალშენებს.

ბერძენ-ოსმალთა ხელშეკრულება.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთმა მიჰმართა ვენიზელოსს, რომ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ ბერძენ-ოსმალთა შორის საგანგებო ხელშეკრულობა დაიდოს. (ნ. აზხ.).

ქალების კონგრესი.

ლონდონში მკათათვის პირველ დღეებში ქალების ინტერნაციონალური კონგრესი გაიხსნა. (ან. აზხატ.).

პალესტინა და ებრაელები.

ხალხთა ლიგამ ებრაელებს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ებრაელების 2 მილიონი ხალხი უნდა გადაასახლონ პალესტინას დასასახლებლად. უკვე ერთი მილიონი ებრაელები მზად არის რუსეთიდან გასამგზავრებლად. ამერიკელი სიონისტები პალესტინის აღსადგენად ინჟინრებსა და სხვა სპეციალისტებს ჰგზავნიან.

ყარსის დაჭერა მაჰმადიანების მიერ

როგორც „აზერბაიჯანი" იუწყება ყარსის მაჰმადიანთა მოსახლეობა თავის დასაცავად გაერთიანდა და შეიარაღდა. სომხეთა თვდასხმისგან უზრუნველ საყოფად მათ ხელთ იგდეს ყარსში ძალა უფლება და ყარსის ციხე გაამაგრეს.

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

მარიამობისთვის 8-ს.

გერმანული პრესა.

მდგომარეობა ჰუნგრეთში.

უმაღლესი საბჭოს მიერ დღეს მიღებული ცნობები ბუდაპეშტში რუმინელების შესვლას ადასტურებს. ბუდაპეშტში საჩქაროდ გაიგზავნება პარიზიდან სამხედრო მისია. იმ აზრის არიან რომ რუმინელებმა პასუხი უნდა აგონ წინააღმდეგ მოკავშირეთა გაფრთხილებისა ჰუნგრეთის დედა ქალაქში შესვლის გამო და როგორც სჩანს განკარგულებას გასცემენ, რომ რუმინიის ჯარი იქიდან გაიყვანონ. უმაღლესი საბჭო ჯერჯერობით კმაყოფილია ახალი მთავრობით, ეხლავე ბლოკადის მოხსნას და ჰუნგრეთში სურსათის გაგზავნას აპირებს. ლიონიდან იუწყებიან, რომ ბუდაპეშტში რუმინიის ჯარების შესვლის დროს არავითარი უთანხმოება არ მომხდარა. რუმინელებმა ყველა საზოგადოებრივი შენობები დაიჭირეს და საქონლის შემოზიდვა გააადვილეს.

ბუდაპეშტის მოკავშირეთა სამხედრო კომისია.

ბუდაპეშტში მიმავალ სამხედრო კომისიაში შედიან გენ. გარციანი (საფრანგეთი), გენ. ბანდჰოლსი (შეერთებული შტატ.) გენ. კარტენი (დიდი ბრიტანია) და გენ. მოლებელი (იტალია). მისიამ შეთავლყურეობა უნდა გაუწიოს ჰუნგრეთის მთავრობის მოქმედებას და წითელი ჯარის დანიშნულ ვადამდე დაშლას.

რუმინიის ჯარი ჰუნგრეთში.

უკანასკნელ ცნობებით, ბუდაპეშტში შესულ რუმინიის ჯარში 30,000 კაცი შედის. ჰუნგრეთის მთავრობამ მოკავშირეებს დახმარება სთხოვა იმ იმედით, რომ რუმინელები მალე გავლენ უნგრეთიდან. მაგრამ რუმინიის პრესა აცხადებს, ეხლა კი რუმინიას სურს გადამწყვეტი სიტყვა სთქვას უნგრეთის ბედის შესახებ რადგანაც რუმინია ერთად ერთი სახელმწიფოა, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო უნგრეთში წესიერების დასამყარებლადაო.

მოკავშირენი და რუმინეთი.

საფრანგეთის ელჩს ბუქარესტში დაევალა აუწყოს რუმინიის სარდლობას, რომ რუმინიის ჯარმა შეტევა უნდა შესწყვიტოს.

სტამბოლის მანდატის გარშემო.

სტამბოლის მანდატის საერთაშორისო კომისიის ამერიკის სექციამ უკანასკნელ დღეებში მოისმინა მოხსენება სტამბოლის სხვადასხვა ეროვნულ და პოლიტიკურ პარტიების შეხედულებათა შესახებ სირიის და პალ. კომისიებმა 15 წ. ვადა მისცეს დელეგატებს პასუხის მისაცემად. ოსმალეთის პარტიათა წარმომადგენლები მოიწვიეს, რათა თავისი შეხედულება და სურვილები გამოეთქვათ სრუტეების ნეიტრალიზაციის შესახებ. (გამოტოვებულია) სომხეთის საკითხის გადაჭრის შესახებ ვერაფერი სთქვეს თუმცა ეს საკითხი სინამდვილეში ადვილად გადასაჭრელია. ოსმალური პრესა სცდილობს აღადგინოს მდგომარეობა რომელიც დელეგატების დამარცხებაში გამოიხატა სომხეთის საქმეების განხილვის დროს.

სომხეთის საკითხი.

უმეტესობა წინააღმდეგია, რომ სომხეთს რაიმე ტერიტორია დაუთმონ. მცოდნე პირების აზრით ოსმალებს სურთ თვითონ გადასწყვიტონ აღმოსავლეთ ანატოლიაში ტერიტორიალურ დათმობათა საკითხი.

ჰოლანდიის საკითხი.

ლიონიდან იუწყებიან, რომ ყოველ დღე იმართება იმ კომისიის სხდომა, რომელსაც 1839 წ. ხელშეკრულობის გადასინჯვა აქვს მინდობილი კომისიაში მონაწილეობას იღებენ როგორც ბელგიის ისე ჰოლანდიის წარმომადგენელნი. იმედი აქვს შეთანხმების მიღწევისა, რაც კონფერენციას გადაეცემა დასამტკიცებლად. კამათი იწვევს შელდა. ბელგიელებს დაუშვებლად მიაჩნიათ ეხლანდელი მდგომარეობა, რადგან თუ ომი მოხდა ინგლისს არ შეეძლება დასახმარებლად ჯარების გამოგზავნა. ისინი აცხადებენ რომ არავითარ ანექსიას არ ისახავენ მიზნად და მხოლოდ მოითხოვენ სამხედრო გარანტიას, და განტისა და ანტვერპენისთვის სამუდამო თავისუფალ გასავალს ზღვისკენ. ჰოლანდიის პასუხი ჯერ არ წარმოუდგენია, მაგრამ მისი წარმომადგენლების სიტყვით, ჰოლანდიას სურს მიუთითოს უკანასკნელ 80 წ. ანტვერპენის ვაჭრობის არაჩვეულებრივ ზრდაზე, რაც იმას ამტკიცებს, რომ 1839 წლიდან ჰოლანდიას არც ერთხელ ბოროტად არ გამოუყენებია შელდის შესართავის ფლობელობა და ბელგიის ვაჭრობას არ აფერხებდა. ამბობენ, ჰოლანდია შემდეგს იტყვისო: „ვილსონის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ ომმა სრულიად შეცვალა ნეიტრალიტეტის მცნება, რაც შესაძლებელს ხდის შეთანხმებას, რომლის ძალითაც თუ შეტაკება მოხდა შელდას გახსნის ბელგიის დასახმარებლად გაგზავნილ ბრიტანიის ფლოტისთვის მაშინ, როდესაც ამაზე უარს იტყვის თავდამსხმელი მხარე, „ამის გამო კომისიის წევრები სცდილობენ შეთანხმდნენ. საერთო აზრი ისეთია, რომ შეთანხმება მოხდება. ბელგიელები გრძნობენ, რომ ომის დროს ჰოლანდია უფრო გერმანოფილურად იქცეოდა და ეჭვით უყურებენ ყოველ-გვარ შეთანხმებას, რომელსაც არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს გარდა ნეიტრალიტეტის ახალი მცნებისა, მაშინ, როდესაც ჰოლანდიელები აღშფოთებულნი არიან ბელგიელთა გადამეტებულ შიშით. პუბლიცისტები ყველაფერში ბელგიის იმპერიალიზმს სდებენ ბრალს.

ბოლშევიკური ცნობები

ჩიჩერინის წერილი

მოსკოვი, აგვისტოს 7. (ც. ა. კ. ბ. ბიულეტენი.

მოსკოვი. აგვ. 7. ჩიჩერინი გაზ. „პრავდა"-ში ჩვენ მიერ ხელში ჩაგდებულ კასპიის ზღვაზე გრიშინ ალმაზოვის საბუთების შესახებ სწერს: რუსეთის ძველ საზღვრებში ახალ სახელმწიფოების შექმნა დენიკინის უდიდეს უბედურებად მიაჩნია.

გრიშინის საბუთები, რომელიც ოდესის საქმეებს ეხება, სავსეა ცნობებით, რომ პეტლიურას ჯარსა და მოხალისეთა შორის სულ მუდამ უთანხმოება იყო. არსკი „იზვესტიაში" აღნიშნავს ლიონიდან მოსულ რადიოს ცნობას, რომ ლიუცერნის კონფერენციის ბელადები და სოციალისტ შეთანხმებლები საბერძნეთის ყოფილ დედოფალს სოფიოს და კაიზერის შვილს პრინც ფრიდრიხს და სხვა ამგვარ პირებს ებრძვიან და სწერს: ყოფილ მეფეების შესაფერი კომპანია შეიკრიბა. მუშები და განდევნილები სჩხუბობენ კონგრესზე და ინტერნაციონალის რეორგანიზაციაზე ერთად მსჯელობენ. ეს კომპანია ზეიმით მიესალმება ჰუნგრეთის მენშევიკებს, რომელთაც არა ჩვეული ბრივი გამცემლობა ჩაიდინეს".

დენიკინის კონტრიბუცია.

კიევი, აგვ. 6. დენიკინის ჯარმა დაბა ეკატერინოსლავს 3 მილიონი მანეთი კონტრიბუცია დაადო. ხარკოვში გაზეთებზე წინასწარი ცენზურა შემოიღეს. მოხალისეთა ჯარის სასარგებლოდ ფულის შეკრებამ ცუდად ჩაიარა. ქალაქი ტერორის ქვეშ არის. მთელი რიგი დაწესებულებებისა მოშხრეა, რომ კრეტი მუშათათვის საყოველთაო სწავლების შესახებ ცხოვრებაში გაატარონ.

გრიგორიევის მოკვლა.

კიევი, აგვ. 6. ცნობა გრიგორიევის მკვლელობის შესახებ მართლდება. რაკოვსკიმ ალექსანდრიიდან უკრაინის თავდაცვის საბჭოს საგანგებო კომისარისაგან დეპეშა მიიღო სადაც ოფიციალურად იუწყებიან, რომ გრიგორიევი და ტერეშჩენკო თავისი შტაბით მახნოველებმა დახოცეს.

რიაბცევის დასაფლავება.

კიევი, აგვ. 6. ხარკოვში თეთრების მიერ დახვრეტილ პოლ. რიაბცევის დასაფლავებაზე დიდძალი ხალხი და ყველა პროფესიონალური კავშირები დაესწრნენ. სიტყვების წარმოთქმა აკრძალეს, წითელი დროშები ჩამოხსნეს.

პეტლიურას დამარცხება

კიევი, აგვ. 6. ვოლინსკის ბრბო და პეტლიურას ცხენოსანი რაზმი ხრისტინოვკაში დავამარცხეთ. ჰოტაშის რაიონში ხელში ჩავიგდეთ ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები ბრბოს დევნა გრძელდება.

„წითლების" წაგება.

სამარა. აგვ. 5. ურალის ოლქში, სოფ. ტაშლინსკში ექიმის და ორი სამხედრო კომენდანტის თანდასწრებით გათხარეს ორი საფლავი, სადაც მცხოვრებლების თქმით ყაზახებისაგან ნაწამები წითელი ჯარის კაცები ეყარა. ნახეს 12 შიშველი გვამი რომელთაც უმეტეს ნაწილათ მოჰრილი აქვთ ცხვირი, ხელები და დასახიჩრებული თავები.

ბოლშევიზმი ყაზახებში.

სამარა. აგვისტოს 25. ივლისი. ურალის ყაზახთა 3-მე პოლკმა რიცხვით 450 კაცმა გადასწყვიტა ოფიცრებს პაგონები აყარონ და გამოგზავნა დელეგაცია რომ წითელ ჯარში მიიღონ.

ლატიშთა ნაციონალიზაცია

დვინსკი, აგვ. 5. სასამართლოებს ბრძანება მოუვიდა ლატიშთა ეროვნული დროშები შეიძინონ.

მობილიზაცია აზერბაიჯანში

აზერბაიჯანში დენიკინის წინააღმდეგ მობილიზაცია გამოცხადდა.

მდგომარეობა ჰუნგრეთში.

ნაუენი. აგვ. 6. ჰუნგრეთში, კერძოთ ბუდაპეშტში, რუმინელების შემოსვლის შემდეგ სრული ქაოსია გამეფებული. იქით გაემართა აგრეთვე სეგედინის მთავრობის ჯარი. შიშობენ, რომ სეგედინის ჯარის გადაჯგუფება უნგრეთში საერთო რეაქციას გამოიწვევს.

კიევი. ერცჰერცოგს ფრიდრიხს უნგრეთის კანდიდატათ ასახელებენ. ჩეხო-სლოვაკთა ჯარმა გადალახა დემარკაციული ხაზი და ბუდაპეშტს უახლოვდება. საფრანგეთის ჯარის 2500 კაცი ფინეთის ფრონტიდან ბუდაპეშტში უნდა შევიდეს. ფიუმედან წამოსული ინგლისის ჯარი გზაშია, რომ მონაწილეობა მიიღოს ბუდაპეშტის დაჭერაში.

ჰელსინგფორსი აგვ. 2. კოპენჰაგენის გაზეთ „პოლიტიკენ"-ს ცნობით ბულგარეთში ყოველ დღე მოელიან სერიოზულ შეტაკებებს. უკანასკნელ დღეებში ყველა ქალაქებში იმართებოდა მანიფესტაციები და მოითხოვენ საბჭოთა მთავრობის შექმნას.

ნაუენი. აგვ. 6. უნგრეთის სატახტო ქალაქი დაიჭირა არა მარტო რუმინიის არამედ მოკავშირეთა ჯარმაც. რუმინიის გენ. მორდორესკუმ უნგრეთის სამხედრო მინისტრს ბუდაპეშტის კომენდანტის ადგილი ჩამოართვა და 500 ძველის მიცემა მოსთხოვა, თან განუცხადა, რომ ყოველ მოკლულ რუმინელზე 5 უნგრელს მოკლავს. გაუბრისმა ეს წინადადება უარყო. რუმინელების მიერ ბუდაპეშტის დაჭერის შემდეგ სურსათი ქალაქამდე ვეღარ აღწევს. რკინის გზით მიმოსვლა შეწყვეტილია. უნგრეთის მთავრობა ჯერ კიდევ არ შემდგარა, რადგან ბურჟუაზიული პარტიები მასში არ შედიან და ახალ არჩევნებს უცდიან. სამხედრო მინისტრმა გომბოსმა განაცხადა, რომ ის მომავალ მთავრობას შეებრძოლება. მისი სიტყვით კონტრ რევოლიუციონური გამოსვლები სეგედინის მიერ იყო მოწყობილი.

რუმინიის დროებითი ზავის პირობები.

ნაუენი, აგვ. 6. რუმინელებმა ჰუნგრეთის ხალხს დროებითი ზავის შემდეგი პირობები წარუდგინეს: ჰუნგრეთის ჯარის რიცხვის შემოკლება 15,000 კაცამდე, სამხედრო ქარხნებში მუშაობის შეჩერება და რუმინელებისთვის გადაცემა, რკინის გზის შემადგენლობის 50 პროც. სამეურნეო მანქანების 30 პროც. და 10,000 ურემი სიმინდის და 35,000 ურემი სხვა მცენაურეულობის რუმინელებისთვის გადაცემა. ეს პირობები შეუცვლელად უნდა იქნეს მიღებული აგვ. 15 დღის 1 საათამდე.

ავსტრიის ყოფილი მეფე ინგლისში

დვინსკი, აგვ. 5. გაზეთ „ბალტიშეჰაიმატი"-ს ცნობით ავსტრიის ყოფილ მეფეს ინგლისის მეფემ წინადადება მისცა ინგლისში იცხოვროს.

ბოლშევიკების სიმკაცრე

დვინსკი, აგვ. 6. რიგის მენშევიკების გაზეთები იუწყებიან, რომ ლატვიის საბჭოთა დამსჯელი რაზმები სიმკაცრეს იჩენენ.

ვილჰელმის გამოწვევა.

ნიკოლაევი. აგვ. 6. მოკავშირეების უმაღლესმა ტრიბუნალმა გადასწყვიტა ჰოლანდიიდან ვილჰელმი ოფიციალურად გამოიწვიონ. როდესაც ვილჰელმი თავის ნებით მოსვლაზე უარს განაცხადებს, მას ლონდონში ძალით მოიყვანენ. ვილჰელმს გარდა, რომელსაც ომის ხელმძღვანელობა ბრალდება დამნაშავეთა სკამზე დასვამენ პრინც. რუპრეხტ ბავარიელს, მარშალ მაკენზენს, რომელსაც რუმინიაში მტაცებლობა, დაწვა და ხოცვა ბრალდება, გენერ. ლიმან ფონ სანდერსს, ოსმალეთში სომხების დახოცვისთვის და მრავალი სხვა. ამის გარდა მოვიდა სია გერმანულ საზღვაო ოფიცერთა, რომელთაც წყალ ქვეშა ნავებზე ბოროტება ჩაუდენიათ.

ბელგია ხელ-შეკრულებას ადასტურებს.

ლიონი. აგვ. 7. ბელგიის პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ საზავო ხელშეკრულების დადასტურება გადასწყვიტა.

რუსეთის ახალი მთავრობა.

ჰელსინგფორსი, აგვ. 5. გაზ. „კონსანკიუ"-ს ცნობით გენ. იუდენიჩმა ჰელსინგფორსში რუსეთის ახალი მთავრობა შეადგინა, რომელიც პეტროგრადში გამეფებას ისახავს მიზნად. ფინეთის პრემიერ მინისტრმა ინგულსმა მანერ-ჰეიმი, რომელსაც ჯარის მთავარსარდლობა შესთავაზა. მანერჰეიმი ზოგიერთ პირობაზე დასთანხმდა. ილიძრა აგრეთვე საკითხი მანერჰეიმის პარიზში ელჩად დანიშვნის შესახებ. ეს საკითხები ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

ამერიკის ელჩი და ბოლშევიზმი.

ლიონი, აგ. 5. რუსეთში მყოფ ამერიკის ყოფილმა ელჩმა განაცხადა, რომ თუ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ზომები არ იქმნა მიღებული, ბოლშევიზმი სხვა ქვეყნებსაც მოედება.

ამერიკის ახალი ჯარი.

ლიონი, აგვ. 6. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ სამხედრო მინისტრმა ბეკერმა ვაშინგტონის კონგრესს წარუდგინა განსახილველად 510.000 კაცისაგან მუდმივ ჯარის შედგენის კანონ-პროექტი. ამ კანონ-პროექტის თანახმად 3 თვიდან 3 წლამდე აუცილებელია ახალგაზრდათა სამხედრო ვარჯიშობა ამას გარდა სამხედრო სამინისტრო წინადადებას იძლევა ახალგაზრდა ჯარში გაწვეულთაგან შეადგინონ არმია 740,000 კაცისაგან. საერთოდ იქნება 1,250,000 კაცისაგან შემდგარი არმია.

შვეიცარიელი მუშები.

პარიზი, აგვ. 6. ჟენევიდან იუწყებიან, რომ შვეიცარიის მუშათა კავშირის დელეგატთა ყრილობამ გადასწყვიტა საერთო გაფიცვები არ გამოაცხადოს. ციურიხში სადაც მუშათა ადგილობრივმა კავშირმა გადასწყვიტა განაგრძოს მოძრაობა, რეზოლიუცია სადაც მოუწოდებენ მცხოვრებლებს კომუნისტურ აგიტაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ორზაზათს ქალაქში ცხენოსანი და ქვეითი პოლკები შევიდა. ზომები არის მიღებული ბანკების, ფაბრიკების მთავარი ქუჩების და მოედნების დასაცავად.

შეტაკება ესტონეთში.

ვილიკია, ლუკა აგვ. 5. ნიტავაში ესტონელებსა და რუსის მოხალისეთა შორის შეტაკება მოხდა.

დობროვის მხარეს.

ოდესა, აგვ. 2. „პრიდნეპროვსკი კრაი" იუწყება, რომ დობროვის რაიონში, ხელმეორედ კომუნისტების ხელმძღვანელებით მოძრაობა დაიწყო.

მოკავშირეთა პრესა ჰუნგრეთის ამბებზე.

„პტი-პარიზიენი" სწერს: „ბელაკუნის მემკვიდრეები აცხადებენ, რომ მათ მიერ შექმნილი მთავრობა წმინდა, სოციალისტური იქნება. ჩვენ არ ვიცით რა განსხვავებაა ამ მთავრობასა და კომუნისტების დიქტატურის შორის. არის, რამდენიმე კაცი, რომლებიც საბჭოთა მთავრობას ეკუთვნის, რაც გვაიძულებს ჩვენ ფრთხილად ვიყოთ... (გამოტოვებულია.) ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გამოჩნდა სამუელი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო სამხედრო ტყვეების ორგანიზაციაში. ჰაბსბურგის ჩამოგდების შემდეგ სამუელი დაბრუნდა უნგრეთში და სოციალისტურ-გადატრიალების მოსამზადებლად მუშაობდა. ჯარისკაცთა შორის ის, როგორც ორატორი დიდის პოპულიარობით სარგებლობდა. მას შემდეგ, რაც ჰუნგრეთში სოციალური გადატრიალება მოხდა და საბჭოთა მთავრობა დამყარდა, სამუელი მთავრობაში სამხედრო კომისარიატში კოლეგიის წევრად შევიდა და უნგრეთის ჯარის ორგანიზატორი იყო, მონაწილეობას იღებდა რუმინიის ხალხის წინააღმდეგ. სამუელი ნამდვილი რევოლიუციონერი იყო, მასში თუ არა მარტო უნგრეთის არამედ მთელი ქვეყნის პროლეტარიატმა დაჰკარგა ნამდვილი იდეური ბელადი.

ნაუენი. აგვ. 5 შვეიცარიიდან ბუდაპეშტში მოვიდა გრაფი იული ანდრაში. ჰუნგრეთის პოლიტიკურ მოღვაწეებთან საუბრის დროს ანდრაშიმ სთქვა, რომ ნამდვილი ბურჟუაზიულ მთავრობას უპირატესობას აძლევს, მაგრამ ეხლანდელ პირობებში მას აუცილებლად მიაჩნია კოალიციონური სამინისტრო, რომელშიც შესვლაზე თვითონ უარი განაცხადა. ნამდვილი ბურჟუაზიული მთავრობის არსებობა პროლეტარიატის ეხლანდელი სულიერი განწყობილებების გამო შეუძლებელია, რადგან ისინი ვერ შეურიგებიან უფლების დაკარგვას, პროტესტს აცხადებენ თავის იარაღის აყრაზე, განსაკუთრებით რუმინიის ჯარის ბუდაპეშტში შესვლის შემდეგ, რომელთაც სახელი გაითქვეს სიმხეცით. კომუნისტები თითქოს გაქრნენ მაგრამ არის საფუძვლები ვიფიქროთ, რომ ისინი მხოლოდ მიჩუმდნენ და გამოვლენ ისევ თუ ახალი მთავრობა რეაქციონური გამოდგება.

ხალხების სოციალიზაციის გაუქმება.

ნაუენი. აგვ. 5. ჰუნგრეთის ახალი მთავრობის წევრებმა ითათბირეს თუ

საბჭოთა წესწყობილებიდან რა უნდა გაუქმდეს დაუყონებლივ, რომ მარტამდე წეს-რიგი აღსდგეს. პირველი ზომა რომელსაც ჰუნგრეთის მთავრობა მიიღებს, იქნება სახლების სოციალიზაციის დეკრეტის გაუქმება.

რევოლიუცია ირლანდიაში

პარიზი. ნიკოლაევი. აგვ. 6. „დეილი ნიუს"-ი იუწყება, რომ ირლანდიაში რევოლიუციონური მოძრაობა გაძლიერდა. დაარსდა მუშათა და გლეხთა საბჭოები. კონსერვატიულ და ლიბერალურ პარტიებმა მოითხოვეს მკაცრი ზომების მიღება.

რუმინია და ფრანგთა შეტაკება.

ოდესა. აგვ. 4 ბენდერში ამ დღეებში საფრანგეთისა და რუმინიის ჯარის შეტაკება მოხდა. ბესარაბიაში ყოველ დღე უნდა მოველოდეთ აჯანყებას.

ავსტრია და ჰუნგრეთი.

პარიზი, აგვ. 5. გაზეთების ცნობით, ავსტრიის მთავრობამ გამოსთქვა სურვილი, ასრულოს ჰუნგრეთის ახალი მთავრობის სურვილი, ბელაკუნის და მის მეგობრებს მისცეს ადგილი ავსტრიაში. იმ სისხლის ღვრის ასაცილებლად, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქმნას ბუდაპეშტში მათი ყოფნით. ავსტრიის მთავრობამ ისინი განსაკუთრებულ ბანაკში მოათავსა. ისინი მანამდე დარჩებიან იქ, სანამ ჰუნგრეთის მთავრობა შესაძლებლად სცნობს მათ ჰუნგრეთში დაბრუნებას. ავსტრიის მთავრობა უფლებას იტოვებს, რომელიც უზრუნველჰყოფს მის საკუთარ ინტერესებისათვის მიიღოს ზომები, თუ ბელაკუნის და მისი ამხანაგების ცაკავების დროს რაიმე სიძნელე დაიბადა.

ინგლისური პრესა

პუანკარე ელზას ლორენში.

მაინციდან იუწყებიან, რომ პუანკარე აგვისტოს 18 ს ელზას-ლორენში მიემგზავრება და ზოგიერთ იქაურ ქალაქს საპატიო ლეგიონის ორდენს გადასცემს.

კონფერენცია და ჰუნგრეთის საკითხი.

ბელაკუნის გადადგომის და ჰუნგრეთში ახალი უმეტს ნაწილად კონსერვატორ სოციალისტებისაგან შემდგარ, მთავრობის ხელში—ძალა-უფლების გადასვლის შემდეგ საზავო კონფერენციისთვის შედარებით მშვიდობიანი დრო დადგა. საზავო კონფერენციას მხოლოდ იმის ეშინიათ, რომ რუმინელებმა შეტევა არ განაგრძონ. თუ რუმინიამ ჰუნგრეთი დაიპყრო, ახალი სიძნელე შეიქმნება. გუშინ საზავო კონფერენციამ განკარგულება გასცა, რომ რუმინელებს შეტევა შეეწყვიტნათ, მაგრამ დეპეშა ან არ მისულა ან და სტრატეგიულ და სხვა მოსაზრებით რუმინელებმა განკარგულება არ შეასრულეს.

საზავო კონფერენციამ ჰუნგრეთში შექმნილ მდგომარეობაზე იმსჯელა.

მესამე ძალა ჰუნგრეთში

ჰუნგრეთში მდგომარეობას უფრო ართულებს ის გარემოება რომ ჩრდილოეთიდან წინ მოიწევს ეროვნული არმია, რომელიც ჰუნგრეთის წინანდელ კონსერვატიულ პარტიის ნაშთებია და ბელაკუნის წინააღმდეგ იბრძოდა აქამდე. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ახალ მთავრობას არ შეუძლია მხოლოდ საკუთარ ჯარზე დაყრდნობა, რუმინელების ჰუნგრეთში შესვლა და ეროვნულ არმიის ჩრდილოეთიდან წინსვლა პარიზში შიშს იწვევს. დღეს ცნობა მოვიდა, რომ ახალი მთავრობა მიუხედავათ თავისი სოციალისტურ შემადგენლობისა ბურჟუაზიას და გლეხებს ავანსებს აძლევს. თუ ახალი მთავრობა გამტკიცდა, კონფერენცია დაუბრუნდება უნგრეთის ხელშეკრულების პირობათა განხილვას. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ახალი მთავრობა საბოლოვო არ იქნება, რადგან ის სოციალისტ მუშებისაგან შესდგება მაშინ, როდესაც საჭიროა მუშათა, გლეხთა და საშუალო კლასის წარმომადგენელთაგან შემდგარი კოალიციონური მთავრობა. სამწუხაროა აგრეთვე ისიც, რომ მთავრობაში შადიან ისეთი პირები, რომლებსაც ბოლშევიკურ მოძრაობაში წილი ედოთ.

სახელმწიფოებრივ

საზომ-საწონ-საწყაოთა აუცილებლივ შემოღების შესახებ საქართველოში.

საზომ-საწონ-საწყაონი ისევე ძველია, როგორც თვით კაცობრიობა. ადამიანს პირველ დღიდანვე თავისის არსებობისა დასჭირდა გაეზომა სიგრძე და სიგანე იმ მიწისა, რომელიც მას უნდა დაემუშავებინა, ან მანძილი საიდანაც უნდა გამოეყვანა თავის მიწის მოსარწყავი არხი. საჭირო იყო იმისთანა საზომი ამორჩიათ, რომელსაც ყველა მიხვდებოდა და გაიგებდა. იმისთანა საზომად გამოდგებოდა ადამიანის სხეულის ნაწილები. და მართლაც გასაზომ ერთეულად ამოირჩიეს ფეხის სიგრძე, წყრთის სიგრძე და სხვა. ქართულ ზომებში მოსჩანს დღესაც ეს. მაგალ. ადლში არის ორი წყრთა, წყრთაში ორი ციდა, ციდაში ოთხი გოჯი და სხვა. საწონის ერთეულად ირჩევდნენ მეტ წილად ქერის მარცვლის წონას. ევროპიულ საზომ საწონში დღესაც მოსჩანს, თუ საიდან არის აღებული ესა თუ ის ზომა. მაგ. ფუსი (ფუტი) ფეხის სიგრძეა, დიუიმი თითის სისქეა და სხვა. ევროპამ საზომ საწყაონი გადმოიღო რომაელებისაგან, რომაელებმა ბერძნებისაგან, ბერძნებმა კი ბაბილონელთაგან. როგორც სჩანს ადამიანი ძველის დროიდანვე სცდილობდა საზომ-საწყაოთ იმისთანა ერთეული ამოერჩია, რომელიც უკვე ბუნებაში არსებობდა, და ეს ერთეული იყო სიგრძე ადამიანის ფეხის ან მკლავისა; რასაკვირველია სხვა და სხვა ადამიანის ფეხის ან მკლავის სიგრძე სხვადასხვა აქვს, მაგრამ ამას ყურადღებას ვინ მიაქცევდა. ევროპაში თითქმის მეთვრამეტე საუკუნემდე არ მიუქცევიათ ყურადღება საზომ-საწონთა ახალ ერთეულის გამონახვისათვის, მეთვრამეტე საუკუნიდან კი დაიწყეს კვლევა-ძიება საზომთა ახალ ერთეულის გამონახვისათვის. საზომთა ერთეული უნდოდათ ბუნებიდან აეღოთ, მაგრამ იმისთანა საზომთა ერთეულებს ადგენდნენ რომელთაც არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა ჰქონდათ, მაგ. სიგრძის ერთეულად უნდოდათ შემოეღოთ სიგრძე ფეხის წანაცვლისა, ან ის მანძილი, რომელიც არსებობს ადამიანის თვალებს შორის. რასაკვირველია ამისთანა საზომის ერთეულები ვერ განსდევნიდნენ ევროპაში მიღებულ საზომებს. მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს საფრანგეთის რევოლიუციის წყალობით დაკანონდა ახალი საზომ-საწონ-საწყაოთა სისტემა. 7 აპრილს 1795 წელს საფრანგეთის ეროვნულმა ყრილობამ მიიღო საფრანგეთის მეცნიერთა ბორდა, კონდორსე, ლაგრანჟე, ლაპლასის და მონჟის მიერ შემუშავებული მეტრიული სისტემა. ამ მეცნიერებმა სიგრძის ერთეულად მიიღეს საშუადღეო ხაზის (მერიდიანის) მეოთხედის მეათე მილიონედი ნაწილი, ე. ი. მათ გაზომეს საშუადღეო ხაზი, გაყვეს იგი ოთხ თანასწორ ნაწილად, ერთი მეოთხედი კიდევ გაყვეს ათ მილიონ თანასწორ ნაწილებად და ამ საშუადღეო ხაზის მეოთხედის მეათმილიონედს დაარქვეს სახელად მეტრი. მეტრი მიიღეს სიგრძის ერთეულად. რადგანაც ჩვენი აღრიცხვა ათეულოვანია, მათაც თავიანთ საზომთა სისტემის ფუძედ დაიღეს ათი, ისე რომ ერთი ზომა მეორეზედ არის ათჯერ დიდი ან პატარა მაგ. მეტრში ათი დეციმეტრია, დეციმეტრში ათი სანტიმეტრია, ან ათი მეტრი ერთი დეკამეტრია, ათი დეკამეტრი, ერთი ჰექტომეტრი და სხვა წონის და საწყაოს ერთეულებიც აქედან შექმნეს. მაგ. მათ აწონეს გამოხდილი წყლის ერთი კუბიკური სანტიმეტრი 4 გრადუსის სითბოში, ამ წონას დაარქვეს სახელად გრამი, და ეს მიიღეს წონის ერთეულად.

თუმცა საფრანგეთის ეროვნულმა ყრილობამ დააკანონა მეტრიული სისტემის შემოღება, მაგრამ ესე ადვილი არ იყო ძველი საზომ-საწონ საწყაოების დავიწყება. ნაპოლეონ I არ თანაუგრძნობდა ამ ახალ სისტემას. ამისთვის 1800 წლ. და 1812 წლ. დეკრეტებით მან თითქმის სრულებით შესცვალა იგი. მან ნება დართო საზომ-საწონების ძველი სახელები დარჩომილიყო, მხოლოდ მათი სიდიდე კი მეტრიულ ზომებთან უნდა ყოფილიყო შეფარდებული. ამან დიდი არევ დარევა შეიტანა საფრანგეთში, ეს არევ დარევა მოისპო მხოლოდ 1840 წელს გიზოს მინისტრობის დროს, რომელმაც სავალდებულოდ გახადა მეტრიული სისტემა.

ევროპის ყველა კუთხეში თავისი საზომები იხმარებოდნენ. ისეთი არევდარევა იყო ამ საზომებისა რომ ბაბილონის გოდოლის აშენებას მოაგონებდა კაცს. მაგ. შვეიცარიის კანტონ „ვა"ში 1823 წლამდე არსებობდა 8 ერთი და იგივე სიგრძის ერთეული, 8 წონის ერთეული, 23 მოცულობის ერთეული ხილის ასაწყავად და 31 სითხის საწყაო, გერმანიაში კი თვითეულ დიდ ქალაქს თავისი საზომ-საწონ-საწყაოთა სისტემა ჰქონდა. მეტრიულმა სისტემამ დიდი გავლენა იქონია, და უკვე ჩრდილო იტალიამ 1803 წელს მიიღო იგი სახმარებლად, სამხრეთ იტალიამ კი 1850 წ., ჰოლანდიამ და ბელგიამ მეტრიული სისტემა შეიღეს 1817 წ., შვეიცარიამ 1851, გერმანიამ 1874 წ., და სხვ. ინგლისი მიემხრო 1884 წ. ერთი სიტყვით დღეს მეტრიული სისტემა ყველგან არის მიღებული.

საქართველოს მდგომარეობა საზომ-საწონ-საწყაოთა ერთეულების ხმარების მხრივ ნამდვილი ბაბილონის გოდოლის აშენებას ჰგავს. თითქმის ყოველივე სოფელს თავისი საკუთარი საზომ-საწყაოების სისტემა აქვს. თუმცა რუსეთი ას წელიწადს სცდილობდა თავისი საზომ-საწყაოები შემოეტანა, მაგრამ რუსეთის საზომებიდან მხოლოდ არშინი და გირვანქა თუ ჩაითვლება მიღებულად, ისინიც ყველგან არა გირვანქასთან და ფუთთან არსებობს ოსმალური ოყა და ბათმანი, რომელთა წონაც ცვალებადია. საშინელი არევ-დარევაა, საშინელი ქაოსია საზომ-საწყაოების სიდიდეთა შორის. რა არის დღიური, ან ქცევა, რა არის კოდი ან ლიტრა, რა არის საპალნე, ჩაფი ან თუნგი, ალლახმა უწყის. საპალნეში იმერეთში ათი ჩაფია, ქართლში ზოგან 28 ჩაფია, ზოგგან 29, 30 ან 32 ჩაფიც კი. თვით ჩაფიც ზოგი დიდია, ზოგი პატარა. იმერეთში ღვინის საწყაოთ ფუთებსაც კი ხმარობენ არშინთან ერთად სიგრძის გასაზომად აღლიც იხმარება, როცა საჩოხე შალებსა ზომავენ. ერთი სიტყვით საქართველოს ყოველ კუთხეს, თითქმის ყოველივე სოფელსაც კი თავის საკუთარი საზომ-საწონ საწყაოები აქვთ, არ არის გარკვეული, მთელ სახელმწიფოს მიერ მიღებული საზომები. რუსული საზომ-საწონები თუმცა უფრო გავრცელებულნი არიან, მაგრამ თვით რუსეთი ბოლო უარჰყოფს ამ საზომებს და მეტრიულ სისტემაზედ გადავა. რუსულ სისტემას ძალიან დიდი ნაკლი აქვს, თუნდა იმ მხრივ მაინც, რომ მათ ფუძედ ერთი რომელიმე გარკვეული რიცხვი არ უძევს. საჭიროა საქართველოში დაკანონდეს ერთნაირი საზომ-საწონ-საწყაოთა სისტემა, და ეს სისტემა კი უეჭველად მეტრიული სისტემა უნდა იყოს, როგორც ყველგანაა მიღებული.

რასაკვირველია, საქართველოშიც ეს რეფორმა ერთ ან ორ წელიწადს ვერ გატარდება, მაგრამ ეხლავე დამფუძნებელმა კრებამ უნდა მიიღოს დეკრეტი, რომლითაც იგი დაადასტურებს მეტრიულ სისტემის შემოღებას საქართველოში. უნდა დაარსდეს საზომ-საწონ-საწყაოთა პალატა, საფრანგეთიდან გადმოტანილ იქმნას მეტრის და გრამის კოპიოები, დაარსდეს სახელოსნოები, სადაც ეხლანდელ საზომებს გადააკეთებენ მეტრიულ სისტემის მიხედვით. რაც მალე განხორციელდება ეს რეფორმა, მით უკეთესია.

გიორგი ბურჭულაძე.

შემოტევა რაჭის საზღვარზე.

როგორც საზოგადოებას უკვე ეცოდინება, რაჭის საზღვარზე თერგის ოლქის მხრივ ეგრე წოდებულ „ოსეთის სამხედრო" გზით მამისონის უღელტეხილზე შემოტევა დაიწყო.

მთის მწვერვალის გადასასვლელზე მხოლოდ რამოდენიმე დარაჯი გვყავდა. ამ რამოდენიმე კაცს მტერი სრულიად მოულოდნელად თავს დაესხა.

საქმე ასე ყოფილა. 24 ივლისს მოდარაჯე ჯარის კაცებს, რომელთა რიცხვი ათ კაცს არ აღემატებოდა, ჩვეულებრივ საზღვრის თვალიერების დროს შეუნიშნავთ თერგის ოლქის მხრით, არაჩვეულებრივი მოძრაობა დაახლოვებით არა ნაკლებ 100 კაცისა შემდგარი მტრის რაზმისა. ასეთი საეჭვო ცნობა მყისვე უცნობებიათ დაბა ონში მდგომ უმფროსისა, პოლკოვნიკ ბ ნი ინწკირველისათვის. ინწკირველს სამინისტროდან ბრძანება ჰქონია მოსული, რათა თბილისში წასულიყო, ალბად რამე სხვა საქმეებზე. პოლკოვნიკი ინწკირველი ამ ცნობის გამო შეჩერებულა და თბილისში წამოსვლა გადაუდვია. მაგრამ 25 ივლისს მიუღია დამამშვიდებელი ცნობები, საშიში არა არის რა, 26 ივლისს უკვე გამომგზავრებულა კიდეც. მაგრამ ქუთაისში უეცრივ ცნობა მოსვლია საჩქაროდ დაბრუნების, რადგან მამისონის უღელტეხილზე საქმე გართულებულა. ბ ნი პოლკოვნიკიც მეორე დღესვე ფიცხლავ დაბრუნებულა რაჭაში და სწრაფად მიჭრილა ს. გლოლაში, რომელიც შემოტევის ადგილს რამდენიმე ვერსითაა დაშორებული. ეს სოფელი საქართველოს მხრივ ქართველების უკანასკნელი მოსაზღვრე სოფელია თერგის ოლქთან და უღელტეხილის ქვეშ ჰალზეა გაშენებული.

გამორკვეულა შემდეგი: 26 ივლისს ოსეთის მხრივ კვლავ გამოჩენილა ოთხჯერ ხუთჯერ მეტი შეიარაღებული ძალა ვიდრე 24 ივლისს, დაახლოვებით 500 კაცამდე და ჩვენი სადარაჯოებისთვის სასტიკი სროლა აუტეხნია. ჩვენებს დარაჯთა გაორკეცებული რიცხვი ჰყოლიათ, სულ 25 კაცისაგან შემდგარი რაზმი კაპ. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით. ჩვენებს მკაცრი და ფიცხელი პასუხი გაუციათ და რადგან სჭერიათ მაღლობებიც თავდამსხმელნი დიდის მარცხით გაუფანტავთ.

როგორც გამოირკვა დღევანდელ შემოტევის ხელმძღვანელი და წინამძღოლი ყოფილა დენიკინის პოლკოვნიკი ოსი გუცუნაევი, იგი მოუძღვის დენიკინის ავანგარდს ჩვენსკენ და ამ ავანგარდშია სულ გადაღმეული ოსობა გზის მაჩვენებლად, ჯაშუშებად კი უმთავრესად ჰყავთ ჩვენი ოსები, რომლებიც შეთქმულნი არიან გადაღმელებთან ერთად. *).

როგორც ამ შემოტევის დროს, ისე საერთოდ დიდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ეგრედ-წოდებულს ლურშევის ოსობას. ეს პატარა სოფელი, სულ 8 გლეხისაგან შემდგარი, მდებარეობს მამისონის უღელ-ტეხილის ყელში ჩვენის მხრივ და ეს სოფელი უკანასკნელი საქართველოს სოფელია. მთელი რაჭველობა აქამდე ნდობით ეპყრობოდა ამ სოფლის მცხოვრებლებს, ძმურად და მოყვარულად ილებდენ, ქალებსაც კი ათხოვებდენ მასზე, ყველამ ქართული კარგად იცის და ყველგან გზაც ხსნილი ჰქონდათ, რაჭველები დღეს ამ შემოტევის გზის მაჩვენებლად და მოამბეთ ამ სოფლელებს მკვიდრ ოსებს რაცხენ როგორც ამბობენ სწორეთ ამ ჩვენი ოსების დახმარებით და გზის ჩვენებით მოუხერხებიათ თავ-დამსხმელებს ვიწრო ბილიკით გადმოსვლა მთის მწვერვალოზე და მათთვის სანდო ოსის სოფელ ლურშევს და ჩვენს სადარაჯოებს უკან მოქცევიან და ამნაირად ჩვენი რაზმისათვის გზა გადუჭრიათ. ჩვენი რაზმი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილა მაგრამ ამ ერთ მუჭა რაზმს მაინც გმირულად თავი დაუცვია და მოხლვავებული მტერი ორ ნაწილად გაყოფილ რაზმს მოუგერებიათ. თანაც დიდი ზარალი მიუყენებიათ, ხოლო ტყვედ ოთხი კაცი წამოუყვანია, თვითონ შედარებით მცირე ზარალით გადარჩენილა ჩვენის მხრით მოუკლავთ ერთი; მძიმეთ დაუჭრიათ ერთი და სამიც უკვალოდ დაკარგულა.

ძალიან თავ-განწირვა გამოუჩენიათ ყველას დაწყებული რაზმის ხელმძღვანელ ჩიქოვანიდგან, ნამეტნავად კი ოფიცერ გიორგობიანს და კოპალეიშვილს, რომლებმაც შეაჩერეს ამოდენა ბრბო, და აოხრებისაგან გადაარჩინეს ქართველი სოფლები.

ს. გლოლის მცხოვრებთ, როცა შეიტყოთ ჩვენების მომწყვდევა შეშინებოდათ და ფიცხლავ აყრილიყვნენ და გამოუწევიათ მთელი თავის ბარგიბარხანით ს. უწერისაკენ თავიანთი ხარ-ძროხის ჯოგით და თხა-ცხვრის ფარით სოფელი სრულებით დაცარიელებულა და მაგრამ, როდესაც პოლკოვნიკი ბ-ნი ინწკირველი დაინახეს და მაშველი ძალა ისევ უკან დაბრუნდენ და დაწყნარდნენ. 29 ივლისს პირადად ვინახულე ბ ნი პოლკოვნიკი, რომელიც ის ის იყო მოზიარიდგან დაბრუნებულიყო. ისიც ძლიერ უკმაყოფილოა ოსების უმადურობით და ვერაგობით და იმედოვნებს, რომ თავდამსხმელებს ჯეროვან პასუხს გასცემს, 29 ივლისს ესეთი მდგომარეობა იყო. ჩვენი რაზმი დახეული იყო უკან რამოდენიმე ვერსტზე, ხოლო მოწინააღმდეგე კვლავ შემოტევის განსაახლებლად უყრის თავს ძალას. ჩვენის მხრითაც სათანადო ზომებია მიღებული. მთელი რაჭის მცხოვრებნი დილიდგან პატარამდე ფეხზეა დამდგარი, და ომში წასვლის სურვილითაა გამსჭვალული.

ჯერ მთავრობას არ მოუთხოვნია არაფერი, ხოლო ყოველ სოფელში თვით ხალხის ინიციატივით იკრიბებიან და ქუდზე კაცი მზადაა ომში წასასვლელად ვერაგი მტრის წინააღმდეგ, მე ხშირად მსმენია თბილისში, რომ დენიკინელებს რაჭა ლეჩხუმის იმედი აქვთო, რომ რაჭველები მათ არ ეომებიანო, მე თვით მსმენია რუსის ოფიცრებისაგან, რომ რაჭველები არ შებრძოლებიან „რუსებსო" მაგრამ ყოველივე ეს ზეპირი თქმაა და დიდი შეცდომაა და რაჭველები, როგორც ერთი კაცი ისე ფეხზეა დამდგარი და ელიან წამს რომ ეკვეთონენ მტერს. ყოველ სოფლიდან მოდიან მოხალისენი და სთხოვენ მთავრობას მათი პირველ რიგ პოზიციაზე გაგზავნას.

ზემო რაჭისა პირველ ამბის მიღებისთანავე რაზმში ჩაეწერენ და ფრონტისაკენ მხიარული სიმღერით გამართნენ.*)

გ. გორდეზიანი.

პატარა ფელეტონი

„დრონი მეფობენ, არა მეფენი!"
რა სიბრძნე არის ამ ოთხ სიტყვაში!
გუშინ რა ვიყავ და დღეს ვინა ვარ?
ასე მგონია,—ვარ მე სიზმარში!
გუშინ დევნილი, მშიერ-მწყურვალი,
ციხე-ციმბირი, ტანჯვა-წვალება...
დღეს კი—„დვორეცი", ავტომობილი,
ყველა მზათ არი, რაც მენებება!
„ძმობა", „ერთობა", „თავისუფლება"
ვენაცვალები ამ სამებასა!
მაგათ ჭირიმე! ბედში ჩამაგდეს,
მიმაღწევინეს ნეტარებასა!
არა თუ კოლჩაკს და დენიკინსა,
თვით ტარტაროზსაც გაუკლავდები!
თუ საქმე მიდგა „კრესლო-დვორეცზე",
ომში მე არვის დაუვარდები!
„რწმენას ჰქმნის მხოლოდ გარემოება,
ყველაფერს უდევს ლუკმის სარჩული!"
ამაზედ კარგა არა უთქვამს რა
დიდებულ მარქსსა,—ცხონდეს მის სული!
აგერ ყავას ვსვამ, ზედაც „შარტრეზი"
მსუქან სადილზე დიდებულია!
და მაგონდება თავად-ბურჟუა,
ვისთვის ეს ყველა დაკარგულია!
მეცოდებიან, იცის უფალმა,
ახლა კი მესმის მათი გოდება!
მაგრამ რა უყოთ გლეხს, პროლეტარსა?
აქ სიბრალული არ გამოდგება!
მუშა და გლეხი ჩვენი ბურჯია,
არაფერს მისცემ,—ძირს გადმოგვსვამენ..
მაშინ მშვიდობით ეს ფუფუნება,
მაშინ სუდარით ჩვენ შეგვმოსავენ!
დღეს იმ ქურუმთა ჩვენ ვემგზავსებით,
რომელთაც არ სწამთ თავისი სწავლა,
მაგრამ უგნურ ხალხს, ბრბოს არწმუნებენ,
ვითომც ქვის ღმერთებს აქვთ რამე ძალა!
„სოციალიზმი" „სოლიდარობა" —
მწარე ღიმილით მე მეცინება
რა რიგ დაქცევდნენ ეს ტერმინები!
გავიხსენე — და... მეძინება!

ან. დონატო.

სოფლად

ის სამწუხარო მოვლენები რაც დღეს ხდება სოფელში, როგორც მაგ.: ძალმომრეობა, ქურდობა, მამულების გატიალება და სხვა ამ გვარი, უნდა მიეწეროს, რასაკვირველია, გარდამავალ ხანის პირობებს და სათვალავში არ ჩაიგდება.

თუმცა, გულახდილად რომ ვსთქვათ, ყოვლად შეუძლებელია ასეთ პირობებში შერჩეს ადამიანს ის შემქმნელობითი უნარი ცხოვრებაში, რომელიც მას თანდაყოლილი აქვს ბუნებრივად

მამულის პატრონს ვეღარა გაუკეთებია რა საკუთარ მამულში, რადგანაც დარწმუნებულია, რომ წვითა და დაგვით მონაგარი უნდა სხვის კერძად გახდეს და თვითონ კი ნაამგდარზე ხახა მშრალი დარჩეს. ასეთი გარემოება სოფლად მეურნეს ადუნებს, გულს უყრის საქმიანობაზე და თვით მეურნეობა ისეთი სისწრაფით ეცემა, რომ მომავალში, თუ ასეთ უმზგავს პირობებს ეხლავე ბოლო არ მოეღო, სოფელი უდაბნოდ გადიქცევა.

როგორც უნდა დატრიალდეს საბოლოოდ ქართველი ერის ბედის ჩარხი, მაინც სოფლის ავკარგიანობაზე იქნება დამოკიდებული მისი კეთილდღეობა და ამისთვის ისე თავდავიწყებით არ უნდა გაგვიტაცოს გარდამავალმა ხანამ, რომ საშვილიშვილოდ გაგვიხდეს საქმე სანანური.

არ შეგვიძლიან ამ გარდამავალ ხანას ვანაცვალოთ ყველა ის საუნჯე, რაც ქართველ ერს საუკუნოებით შეუნარჩუნებია.

შეუძლებელია ასეთ გარდავალ ხანას თან გავადევნოთ ის ქართველური ღირსება, რაც საუკუნოებით გადაგვიდუღებია და შეგვისისხლხორცებია.

ეხლა მთელი ჩვენი გულისყური სოფლის ერობისაკენ გვაქვს მიპყრობილი, მოუთმენლად ველით მისგან დიდ სასარგებლო საქმიანობას.

სანიმუშოდ ახლანდელი გარდამავა-
ლი ხანისა, საჭიროდ ვთვლით ვაც
ნობოთ მკითხველს ის, რაც ამ დღ
ეებში ერთს აქაურს დედაბერს დაემ
რთა, რომ გავითვალისწინოთ ის დ
უდიერობა, რომლის წყალობითაც ს
ფელს ესოდენი გახრწნილება შესჩვ
ვია.

დამშეული სამოცი წლის დედაბ
რი წასულა მინდვრად, თავის საკ
თარ ყანაში, სადაც ქერქრილი ჰქ
ნია დათესილი; იქ თურმე დედაბე
ქერის თავთავს გლეჯდა, აგროვებ
გასახმობად, რომ შემდეგ დაეფქვა
ქერის პური გამოეცხო საჭმელ
ვიდრე ყანა მოსამკელი გაუხდებო
ამ დროს თხუთმეტი წლის ბიჭი შე
ვარდება დედაბერს ყანაში, შეაშინ
მას დანით და გააუპატიურებს.

ნამუს ახდილი მოხუცი ქართვე
დედა სდუმს და მხოლოდ მეზობ
დედაკაცებს საიდუმლოდ მოუთხრ
თავის მწუხარების ამბავს.

დედაკაცებიც უსამძიმრებენ დე
ბერს: „ეჰ ქა, შე უბედურო ეგ
დაგმართიაო".

ექიმი ცხვედაძე

მიმოსვლა
სახალხო მატარებლები
ს. ს. რკ. გზ

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს. 5
ქუთაისში	№ 10 9	საღ.	8 ს. 7
ბათომში	№ 5	საღ.	5 ს. 4
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს. 56
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს. 30

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს. —
ფოთიდან	№ 4	საღ	8 ს. 45
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს. 10
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს. 30
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს. 06

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

№ 8	საღამოს	6 ს. 5 წ.
№ 6	შუადღის	2 ს. 32 წ.
№ 4	საღამოს	9 ს. 50 წ.

მოდის სალოღლიდან.

№ 3	დილის	7 ს. 27 წ.
№ 5	ნაშუად.	3 ს. 5 წ.
№ 7	დილის	11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომ

გადის

№ 63	შუადღის	2 ს. 40 წ.
№ 61	დილის	7 ს. 52 წ.
№ 19,20	შუად.	3 ს. 26 წ.

მოდის:

№ 19,20	დილ.	6 ს. 30 წ.
№ 62	დილ.	11 ს. 24 წ.
№ 64	საღ.	8 ს. 4 წ.

თბილისი-სანაინ

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 2
დანიშნულება არის სამგზავრო სისწრ
ფის გადასაზიდები და მალე წასახდ
ნი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63
64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნის
და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქ
მე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქ
მე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. ტყეშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ
და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყო
ფები სასქესო და საშარდე ორგანოთ
(606 და 914 წამლობა) მიხეილის სა
ავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლე
ხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1
ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევა
საათ 25—2536—1

ვ. ვ. მებრაგიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა
გულისა. იღებს ახალ რენტგენის
ელექტრო-წამლობის კაბინეტში,
სინჯვა და წამლობა X ს სხივებ
დიდი სალენიილი და . სევალის
კით ფილტვების, გულის და სხვა შ
ნაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებ
უფასოთ. ყოველ დღე დილის 9
საათამდე და საღამოს 5—8 საათამ
ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4
7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძე
კიკოლიანი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფი
ლისით ავადმყოფებს (914-ს და 606-
შეზხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დ
ლის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს
საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექ
№ 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპ
ტელეფონი 14—23.

---

*) როგორც გადმომცეს ორი გადმოსული ჯაშუში ოსი ჩვენებს დაუჭერიათ. მათ სხვათა შორის ტელეფონებიც გადაუჭრიათ. გ. გორდეზიანი.

*) მამისონის უღელტეხილზე ამჟამად სრული სიწყნარეა. რედ.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.